645
1958 13

# საბჭოთა ქალი

№ 12 დეკემბერი 1958 წ.





ი. ბ. სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერშია


ნარკვევი დეპუტატზე

*

ზეცა ლაჟვარდი,
მიწა ზურმუხტი...

*

ხმაურობენ მანქანები...

*

მოთხრობა —
«სიცოცხლის სიყვარული».

*

ი. იედლიჩკა —
«ბავშვი».

*

ნ. თარგამაძე —
ლექსები

*

კულინარია


7753



თბილისის ქარხანა «ელექტროგამშვები». ამწყობი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი თინა ახალბედაშვილი.

ფოტო დ. იაკობაშვილის


ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

№ 12 დეკემბერი 1958 წელი

საბჭოთა ქალი

გამოცემის მეორე წელი


საჯარო ბიბლიოთეკა



# ექიმი, დეპუტატი, დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმის კაკუნი.

— შეიძლება?—და კარებში გამოჩნდება ცისფერთვალება გოგონას თავი, რომელიც ძლივს წვდება სახელურს, ვერ შველის ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც, საცოდავად რომ ჩაზნექილა შუაში.

— თქვენ ავადმყოფის დედა ხართ?

— შემობრძანდით, ქალბატონო,—ნაღვლიანად უპასუხებს თანაწლოვანი და «ექიმს» სკამებზე უხერხულად მოკალათებულ «ავადმყოფთან» მიიყვანს.

— ნუ ტირი, გოგონი, ნემსს არ გაგიკეთებ, აბა, მოემზადე, უნდა გაგსინჯო,—და თამრიკო ჩანთიდან იღებს ძაფის მოზრდილ კოჭს.

— ღრმად ისუნთქე, გენაცვალე! ასე...

ზურგზე უკაკუნებს პაწია თითებს, სწორედ ისე, როგორც თამრიკოს უკაკუნებს მისი საყვარელი ექიმი. ძალიან ცდილობს თამრიკო გავდეს მას. რეცეპტის დასაწერადაც კი ქაღალდს ისე დებს, როგორც ნამდვილი ექიმი. თავზედაც გადაუსვამს ხელს «ავადმყოფს,» მერე ნიკაპქვეშ მოუცაცუნებს, ეტყვის, რომ თუ მის გამოწერილ წამლებს დალევს, ორ დღეში ადგება. «დედას» დარიგებას მისცემს და... მიიხურება კარები მაღალი ქუსლების უკან.

ასე ხდებოდა ყოველთვის, როცა ექიმობანას თამაშობდნენ. ექიმი თამრიკოს იდეალი იყო. არასოდეს უოცნებია მას უფრო დიდზე, არასოდეს უნატრია ამაზე მეტი.

გავიდა წლები...

დღეს თამარ ანტონის ასული აბაშიძე ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანია. ასეთი საპატიო ნიშნით დააჯილდოვეს ზემდგომმა ორგანოებმა ბავშვების დიდი მოამაგე, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოდარაჯე, ხოლო ბავშვების მშობლებმა, დებმა და ძმებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იქ, დეპუტატების ოთახში, ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის სხდომებზე გამოაქვს მას პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების, საბავშვო ბაღების, ბაგების, საბავშვო სახლების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების მუშაობის საკითხები...

— ღამის 2 საათია, — ამბობს ამომრჩეველი, თამარის მეზობელი სირანა მარტიროსიანი,—ფრთხილად ვუკაკუნებ კარს, ვიცი გვიანაა, მაგრამ რა ვქნა, მეტი გზა არა მაქვს, უნდა გავაღვიძო, შვილიშვილი სიცხისაგან მეწვება. მარტო ჩვენზე, მეზობლებზე კი არ არის გადამკვდარი, საიდან არ მოდიან გულისხმიერ ექიმთან. ჩვენთვის თამარი დედაც არის, დაც, მასწავლებელიც, დამრიგებელიც, სასწრაფო დახმარებაც, ექიმიც, აფთიაქიც, პოლიკლინიკაც. სამაგიეროდ ჩვენც გვიყვარს, მისთვის თავს დავდებთ. აკი ამისათვის ავირჩიეთ დეპუტატად.

...კუჭნაწლავით დაავადებულ ბავშვთა სანატორიუმის გამწვანებული და ყვავილებით დამშვენებული ეზო. ბავშვებს ერთმანეთისათვის წინსაფრის ბოლოებში ჩაუვლიათ ხელი და მატარებლობანას თამაშობენ.

მთავარი ექიმი მოვიკითხე.

— თამარი არ გახლავთ, ამომრჩეველს გაჰყვა, —მითხრა სანატორიუმის მუშაკმა ნინო შავთვალოვამ, — მე თუ რამეში გამოგადგებით, სიამოვნებით.

თამარის საწერ მაგიდაზე ახალი გაზეთები ეწყო, მაგიდის შუშის ქვეშ კი—ბავშვთა ფოტოსურათები.

— ჩვენ ქრონიკული დიზენტერიით დაავადებული 50 ბავშვი გვყავს. ისინი განსაკუთრებულ რეჟიმზე არიან. აი, ეს გოგონა, ასია, – მიმითითა ნინომ ერთ-ერთ სურათზე,— ერთი წლის და შვიდი თვისა მოიყვანეს, ვერ დადიოდა, ვერ ჯდებოდა, ვერ ჭამდა. დიზენტერიამ და მოუვლელობამ მას ასეთი დაღი დაასვა. არავის გვჯეროდა მისი გადარჩენა. თამარი კი გვიმტკიცებდა, რომ ბავშვი უთუოდ გადარჩებოდა. იმ დღეებში თამარს არც სახლი ახსოვდა, არც ჭამა, არც მოსვენება, თვალყურს ადევნებდა ბავშვს,

მის კვებას, აძლევდა დამატებით ვიტამინებს, ცილებს, ცხიმებს. სანატორიუმის მთელი პერსონალი გვერდში ედგა თამარს. ერთი წლის შემდეგ ვეღარ იცნობდით ასიას, გამოჯანსაღდა, მშვენიერი გოგონა დადგა... აი, ამ წიგნში მშობლების შთაბეჭდილებებია, იქნებ დაგაინტერესოთ.

გადავშალე.

«ჩემი შვილი ყოველთვის ავადმყოფობდა. სუსტი იყო, ვერ დადიოდა,— წერს ერთი პატარა პაციენტის კობიკო ბეზრიადინის დედა,— მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენს სანატორიუმში მოვათავსე, ბავშვი სხვანაირად გამოიყურება: დაიწყო ცელქობა, სირბილი, კარგად ჭამს, თამაშობს. სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა უღრმესი მადლობა იმ გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის, რაც სანატორიუმის გამგემ ამხ. აბაშიძემ და მთელმა კოლექტივმა გამოიჩინეს ჩემი შვილისადმი. ყველაზე ძვირფასი ჩვენს ცხოვრებაში ხომ ბავშვებია. გისურვებთ ახალ წარმატებებს შათი გამოჯანსაღების საქმეში».

ასეთი მადლიერების გამომხატველი სიტყვები უამრავია წიგნში.

არც ოჯახურ ბედნიერებას არის მოკლებული თამარი. დროულად მოუძებნია ცხოვრების მეგობარი და ნამდვილი ქართული ოჯახი შეუქმნია. სამ შვილს უზრდის სამშობლოს. ამას წინათ მან ახალი ბინა მიიღო და გულთბილად დაემშვიდობა აცრემლებულ მეზობლებს.

* * *

ძილის დროა. ოჯახის წევრებმა საწოლებს მიაშურეს. თამარი სასტუმრო ოთახში დარჩა. ხვალ საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის სხდომაა, უნდა ილაპარაკოს საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთაც მომავალში აღმასკომის სხდომაზე გაიტანს.

ადვილი არაა იყო ხალხის მსახური, ადვილი არაა იტვირთო პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა კეთილდღეობისათვის, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, და თუ იტვირთებ, უნდა იბრძოლო ბოლომდე, შენი ენერგია მოახმარო ამ საქმეს. თამარი დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს მაგიდას მიუჯდა და დაიწყო წერა:

«კიროვის რაიონს არა აქვს არც ერთი საავადმყოფო. 1945 წლიდან ლაპარაკია სამშობიარო სახლის აშენებაზე, მაგრამ დღემდე ეს ღონისძიება არ განხორციელებულა. 1956 წლის სპეციალური დადგენილებით ქალაქში ჯანმრთელობის ახალი დაწესებულებები უნდა აგებულიყო. კიროვის რაიონი მოხსენებულიც არ არის ამ დადგენილებაში, მაშინ როდესაც მას შეემატა კოტონ-წინდების ფაბრიკა, ქარხანა ელექტრო «ავტომატი», ადგილობრივი მრეწველობის სატრიკოტაჟო ფაბრიკა...»

თამარმა თვალი გადაავლო ჩანაწერს, სინათლე ჩააქრო, შემდეგ საძინებელ ოთახში შევიდა. დიდხანს დაჰყურებდა მძინარე შვილებს. მირანდამ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მუსიკალურ სასწავლებელში სურს სწავლის გაგრძელება. ახლა მეორე საწოლზე გადაიტანა მზერა. «მასახელა ჩემმა ბიჭმა». გოგი გორის ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. ამას წინათ საქართველოს პირველობაზე შეჯიბრებაში პირველი ადგილი აიღო ცურვაში...

«დედა გენაცვალოს, შვილო! რატომ გძინავს ასე გაბუტულად? დღეს ცუდი ნიშანი ხომ არ მიგიღია, ხომ არ გიჭირს რამე? ხვალვე შევივლი შენს სკოლაში...» და თამარი ნელა დაიხარა უმცროსი შვილის საწოლთან, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შეეხო მის შავ თმას.

**მანანა ლეჟავა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მომღერალი თამარ თაქთაქიშვილი ფოტო გ. ვახტანგაძის

ეს ის დღეებია, როცა უკან იხედები, თითქოს სინანულით, როცა გიხარია და გულიც გწყდება— მოიცადე, ნუ გარბიხარ, წელო! შენ ხომ სიხარულიც მომეცი და ზოგჯერ წყენაც. მაინც კარგი იყავი, მაინც სავსე იყო შენი ყოველი დღე. და ახლა მიდიხარ, აღარ დაბრუნდები.

ნუ გარბიხარ, წელო.

მას კი ცვივა უკანასკნელი დღეები, სამასსამოცდამეერთე, სამასსამოცდამეორე...

ვერ ვაკავებთ, მიდის.

მიწურულში სურვილები შესასრულებელი გვაქვს, მიზნები მისაღწევი. მაინც ვერ ვაკავებთ.

ეს ბოლო დღე სულ სხვაგვარია, არცრითი ჰგავს წინას. ჩვენც სხვაგვარი ვართ—უფრო მგრძნობიარენი, ალერსიანნი, ამაყნი.

პატარაა, მაგრამ ესეც ამაყობს—მისი დედა რომ მღეროდა დეკადაზე, რადიომიმღებთან იჯდა განაბული. «ახლაც მიმღერე,» შეეხვეწა და გაინაბა... ესახელება, ახალ როლს ამზადებს დედა, ჩეხი კომპოზიტორის სუხონის საყოფაცხოვრებო ოპერა «კრუტნიავაში» გლეხი ქალის კატრენას პარტიას იმღერებს.



ლ. გუდიაშვილი. «ოქროს ვერძის» გატაცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## «ოქროს ვერძის» ქვეყანაში

«ოქროს ვერძი» კოლხეთს არისო,—ყვება თქმულება.

თავად კოლხეთი, «ედემის დარი», ზღვის პირს გაწოლილა. ზურგი კავკასიონის მთებისთვის მიუბჯენია...

უხვიაო მისი მიწა.

ზეცა—ლაჟვარდი.

ხალხი გულადი, გულმართალი.

მდიდარიაო ეს ქვეყანა, ძალზე მდიდარი...

და მოიწევდნენ დამპყრობლები ამ მიწისაკენ.

ამეტყველდი ზღვაო, გვიამბე, რამდენი მძარცველი მოსდგომია შენს ნაპირებს, რამდენი გახსოვს!

ენა აიდგი მთაო,—რამდენ მოშურნეს დაურღვევია შენი სიმშვიდე.

ალაპარაკდით ციხის ნანგრევებო, ძველო ტაძრებო, ილაპარაკეთ თქვენი ქართულით, ბევრის მცოდნე ხართ, ბევრის მნახველი!..

«ოქროს ვერძი» საბერძნეთს გაიტაცესო,—განაგრძობს თქმულება,—თან წაიყვანესო აიეტის გრძნეული ასული მედეა...

ითალხებოდა მისი ცა.

სისხლი აწვიმდა კოლხეთის მიწას...

ტბებად გუბდებოდა სტამბოლს გატაცებულ ქალწულთა ცრემლი..

გალატაკდაო ქვეყანა, ამოწყდაო ხალხი...

და დროს რომ ჩაბარდა დროთა სიავე, ახლა შეხედეთ კოლხეთის ბებერ მიწას, სადაც გადაშლილა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მშრომელთა გამრჯე ხელებით დამშვენებული.

...და დაიბრუნაო «ოქროს ვერძი» ამ მხარემ,—უმატებენ თქმულებას.

ქ. სოხუმი.



## ძველი ქალაქი...

მზეზე თვლემს. ყურს უგდებს ზღვის იდუმალ ხმაურს.

ჩუმია. პატარძალივით მორცხვი.

საუკუნეები გადაუფურცლავს...

მწვანე ფარჩის კაბით შემოსილა. მკერდი ულამაზესი ყვავილებით ამოუქარგავს, კალთა—მაგნოლიებით, ოლეანდრებით, კიპარისებით, პალმებით... მორცხვია, პატარძალივით კეკლუცი.

კავკასიის ქალაქებს შორის ამ უხუცესი ქალაქის სახელი მსოფლიოს უძველეს ძეგლებს შემოუნახავთ. დრო-ჟამის შესაბამისად დიოსკურია, სევასტოპოლისი, სებასტი, სებასტოპოლისი, ცხუმი და ბოლოს სოხუმი რქმევია მას. ზღაპრული მომხიბლაობა, შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა, გაშლილი ნავსადგური და...

გულში მახვილი ჩაუკრავთ—გამთელებია გული.

დაუნგრევიათ—აშენებულა. ნაპირებს ბერძნები მოსდგომიან, აბისინიელები, ეგვიპტელები... უფრო გვიან რომაელთა ხომალდები გამოჩენილა... ისევ ბერძნები, მე-6 საუკუნის 50-იან წლებში მათვე ამოუხოცავთ მოსახლეობა. „ასეთი იყო აბასგების უსიხარულო დასასრული",—მოგვითხრობს ისტორიკოსი პროკოფი.

მე-8 საუკუნეში მთებიდან გადმოსულ ალანებს გაუპარტახებიათ... ერთი საუკუნით გვიან ბერძენთა მეფეს გაუძარცვავს ქვეყანა. დაუხოცია და დაუბრმავებია 200 ათასამდე ადამიანი. მერე ცეცხლით გადაუბუგავს ეს მხარე.

მე-15—მე-18 საუკუნეებში შავი ზღვის ნაპირას ბრძანებლობდა თურქეთი. დერვიშებით, მოლებით, კადიებით გაივსო ქალაქი... ქვეყნის გამუსულმანება იყო მათი პირველი მიზანი. განდევნიდნენ, კვლავ ბრუნდებოდნენ, ანგრევდნენ, აპარტახებდნენ...

დამპყრობლები იცვლებოდნენ, ბედი-მუხთალი რჩებოდა უცვლელი. და ბოლოს მე-19 საუკუნის დასაწყისს აფხაზეთის მთავრის მემკვიდრეები ასლან-ბეი და საფარ-ბეი შერვაშიძეები ძალაუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეჯახნენ ერთურთს.

ასლან-ბეის ზურგს უკან თურქეთი იდგა,

საფარ-ბეის ზურგს უკან კი რუსეთი. ორი სახელმწიფო იბრძოდა აფხაზეთისთვის. მათი ჯარების შეტაკების ადგილი სოხუმი იყო, და არც დარჩენილა ქვა ქვაზე აქ... «როცა რუსები დაეუფლნენ ქალაქს, წერს ფრანგი მოგზაური დიუბუა დე. მონპერე,—ქალაქის ერთი ნაწილი კიდევ სუნთქავდა, მაგრამ ჯარების სარდალმა (ტორმოსოვ დე რიშელიემ) ბრძანა საძირკვლებამდე დაენგრიათ ისიც, რაც დარჩა»...

დაცარიელდა ქალაქი. ოცი წლის მერე ჩამოსული ფრანგი კომერსანტი გამბა სინანულით ამბობდა: «მთელ ქალაქს ერთი საწყალი ქუჩა და ერთი საწყალი ბაზარი წარმოადგენს... ძველი სოხუმიდან არაფერი დარჩენილა გარდა ეკალ-ბარდითა და ბალახებით დაფარული სახლებისა და ქუჩების ნაკვალევისა»...

* * *

ვინ იფიქრებს ამდენი ჭირნანახია ეს პატარა ქალაქი, ახლა უდარდელად რომ გაშლილა ზღვის პირს, პატარძალივით კეკლუცი და ჩუმი. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და მეცნიერული აზრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი ცენტრი აროდეს ყოფილა ასეთი ლამაზი და მშვიდი, ასეთი ძლიერი... ფაბრიკები, ქარხნები, სკოლები, ტექნიკუმები, პედაგოგიური ინსტიტუტი, თეატრი... ვინ აღნუსხოს მისი სიმდიდრე... ყველაზე ძვირფასი მაინც ადამიანებია, ასე რომ ეტრფიან თავის პირმშვენიერ ქალაქს. აი ამ შენობების მაღალ თაღებქვეშ ფუსფუსებენ ისინი, იღწვიან, შრომობენ, ფიქრობენ, დღევანდელ ოცნებას ხვალ სინამდვილედ რომ აქცევენ...

სანაპიროს ბოლოს ორსართულიანი თეთრი სახლი დგას, მყუდროდ, თავისთვის. ფანჯრებში მარაოსტოტება პალმები იმზირებიან... აქ არის აფხაზ მეცნიერთა კერა—აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი... იკვლევენ ქვეყნის ისტორიას, ხალხის წარსულს, ენის აღნაგობას, ლიტერატურას... მათ შორის აფხაზი მეცნიერი ქალებიც არიან. აფხაზი ქალი და მეცნიერება! ეს ყველაზე გაბედულთ ზღაპრადაც არ უთქვამთ...

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია ეთნოგრაფი ლილი აკაბა.

...თავდახრილი მუშაობს, კალამი თეთრ ქაღალდზე სტოვებს აფხაზი ქალის ნააზრევს. იგი ახლა აფხაზეთის ისტორიისათვის ამზადებს მასალებს. ხანდახან ჩაფიქრდება, გასცქერის ზღვას, შავი თვალები ენისლება ლილის, იქნებ ავბედი წარსული ეჩვენება აფხაზ ქალს, იქნებ მისი წინაპრების ხვედრზე ფითრდება. ვინ იცის! თვითმყოფადი ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი ულიღეს ცნობისმოყვარეობას ბადებდა ადრევე გოგონაში, ამიტომაც მიჰყვა მეცნიერებას... დისერტაციის თემად ოჩამჩირის აფხაზების ცხოვრება აირჩია. შემდეგი შრომაც «ქორწინება და საქორწინო ჩვეულებანი» მისი ხალხის წარსულის საინტერესო თემას მიუძღვნა. ლილი სულ ახალგაზრდაა. მან 1954 წელს დაამთავრა ასპირანტურა და მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო ხარისხი.

...თავდახრილი მუშაობს, კალმის ნაკვალევი თეთრ ქაღალდზე ტოვებს ლილის ნააზრევს... შინ ქალიშვილი ნათელა და ვაჟი გიორგი ელოდებიან, მესამე პირსაც ეშურება ლილის ნახვა, ეს მისი მეზღვაური მეუღლეა...

ინსტიტუტში ლილისთან ერთად ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ეკატერინე შაყრილი მუშაობს. მისი და თამარი კი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს. დებმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ დღეს დაიცვეს დისერტაცია... «რიცხვითი სახელი აფხაზურ ენაში»—გამოიკვლია ეკატერინემ, «თანდებული აფხაზურ ენაში»—შეისწავლა თამარმა...

ლიდა ჭკადუამ, აიღო თუ არა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, თბილისს გამოეშურა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ჩაირიცხა. ბეჯითმა გოგონამ თავიდანვე მიიპყრო ყურადღება. ახლა ლიდაც აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა დ ისტორიის ინსტიტუტშია. მალე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას.

დები გალინა და ნუცა არძიბები.





გაგრა. პარკი.

მაღალ თაღებქვეშ ფუსფუსებენ, იღწვიან, შრომობენ, ფიქრობენ ადამიანები. მათი პირმშვენიერი ქალაქი მზეზე თვლემს. ყურს უგდებს ზღვის იდუმალ ხმაურს. ჩუმია, პატარძალივით მორცხვი. საუკუნეები გადაუფურცლავს...

## მათი ხელებით...

საამქროდან საამქროში გადავდივართ. თვალს ვადევნებთ ხელების მოძრაობას. გვიკვირს, როგორ ახერხებენ ასე სწრაფად, ფაქიზად და მოხერხებულად აართვან მანქანებს პაპიროსის ჰილზები, კონვეიერზე დასდონ, საამქროს მეორე ბოლოში გაგზავნონ, იქ თუთუნით დატენონ, ოქროსფერი ასოებით წააწერონ: «ყაზბეგი», «ბელომორ-კანალი», «სევერი»... შემდეგ საკოლოფე საამქროდან უკვე დამზადებულ კოლოფებში საოცრად ზუსტი მოძრაობით, შეუცდომლად ჩააწყონ ოცდახუთი ცალი პაპიროსი, არც მეტი, არც ნაკლები, დაწებონ და ათასობით ლამაზი კოლოფით ისევ დატვირთონ კონვეიერი...

თითქოს მანქანებია ეს ხელები...

სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში ვართ. ყველგან მშრალი თუთუნის არომატული სუნი დგას, ყველგან ქალებია თითქმის. ყველაფერს მათი მზრუნველი ხელი ატყვია.

...საჰილზე საამქრო. ჩამწკრივებულ მანქანებთან დგანან ქალები. თვალს ვადევნებთ აგრაფინა ძიძარიას სწრაფად მოძრავ ხელებს, მისი პატარა ტანის სხარტ და გამოზომილ მოძრაობას. მანქანიდან ამომხტარ პაპიროსის ჰილზებს...

— ძნელია?—ვეკითხებით.

— მხოლოდ შეუჩვეველი ხელისათვის.—ეცინება აგრაფინა ძიძარიას. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს.

ცხრამეტი წლის იყო ფაბრიკაში რომ მოვიდა პირველად და აგერ უკვე რვა წელია საჰილზე საამქროში მუშაობს. ისიც ჩვენსავით გაკვირვებული შესცქეროდა თურმე მაშინ მანქანებთან მომუშავე ქალებს, უკვირდა და ასე ეგონა, ვერასოდეს ვერ გააკეთებდა იმას, რასაც ისინი ახერხებდნენ.

ახლა კი ერთბაშად სამ, ოთხ და ზოგჯერ ხუთ დაზგასაც ემსახურება. როდესაც ვეკითხებით, როგორ მიაღწია წარმატებებს შრომაში, მხრებს უხერხულად იწევს, ეღიმება და ამბობს:

— მარტო ვერაფერს გავხდებოდი. ამხანაგები მეხმარებიან ყველაფერში...

დღის ბოლოს საამქროებიდან საგეგმო განყოფილებაში მოდის ცნობები: ასათი, ასთხუთმეტი, ასოცი პროცენტი.

და იცით რას ნიშნავს ერთი პროცენტი სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში?

ეს 180 ათას ცალ პაპიროსს უდრის თითქმის...

თამბაქოს საამქრო. კონვეიერის ორივე მხარეს დგანან ნატაშა ზუსლაევა, ანა აჯიაშვილი, ნადეჟდა ჩერტკოვა, მარია ჯემალოვა, მარია რადჩენკო, ტატიანა კაპიანიძე, მარია იაკომენკო... ისინი გულდაგულ ამზადებენ ნედლეულს, შლიან, ასწორებენ, ახარისხებენ თამბაქოს ფოთლებს...

საკოლოფე საამქროში წებოს მძაფრი სუნი გვცემს. თეთრხალათიანი ქალები მაგიდებს უსხედან, ჭრიან კოლოფის თავებს, ძირებს, აწებებენ კუთხეებს. თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებთ, რომ კოლოფების მთელი გროვა მზადაა.

ტატიანა ცვეიბამ სწრაფად გამოსჭრა კოლოფის ძირი, გადასდო ანა ნამბასაკენ, რომელმაც რაღაც დეტალი მიუმატა და ასევე სწრაფად გადააწოდა სარა ავიძბას. მან უკანასკნელად დააწება იარლიყი, გვერდით გადასდო, მეორე კოლოფს წაეტანა...

— შესვენებამდე სულ ცოტაღა დარჩა და მაშინ ვისაუბროთ. მე თუ ავდექი, სამი ქალი უნდა მოცდეს. ეს ხომ ხელის სამუშაოა და მოგეხსენებათ, ყოველი წუთი ძვირფასია...—გვეუბნება სარა ისე, რომ მუშაობას არ სწყვეტს.

კარგად ახსოვს როგორ უცურდებოდა პირველად შეუჩვეველი თითებიდან კოლოფის ნაწილები, როგორი მონდომებით უხსნიდა უფროსი ოსტატი ნიკოლოზ ჩერტილიძე:

— მოთმინება, გეთაყვა, მოთმინება... აბა, ახლა აი ასე სცადე!

თვეები თვეებს მისდევდა და სარაც ყველა ოპერაციას ზედმიწევნით ეუფლებოდა. ახლა თვალდახუჭულსაც შეუძლია სწრაფად გააკეთოს თვითეული მათგანი. ახლა იგი ისეთივე მოთმინებით ასწავლის სხვებს.

1955 წელს ამხანაგებმა უდიდესი ნდობა გამოუცხადეს სარას, სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად დაასახელეს.

ახსოვს, როგორ მოედო სახეზე ალმური, როგორ გაიელვა გულში იქვის ნაპერწკალმა: გაამართლებს კი ამხანაგების ნდობას?

მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. მას ხომ უფრო მეტის გაკეთებაც შეუძლია!

მოდის საგეგმო განყოფილებაში სარა ავიძბას გეგმის შესრულების მონაცემები: ასოცდაათი... ასორმოცი... ასორმოცდაათი პროცენტი,

და იცით რას ნიშნავს ერთი პროცენტი თამბაქოს ფაბრიკაში?

ეს 180 ათას ცალ პაპიროსს უდრის.

* * *

ყუთებით დატვირთული საბარგო მანქანები ფაბრიკის ეზოდან გადიან. ძლივს ვასწრებთ მისამართების წაკითხვას: «ყაზახეთი». «კუიბიშევი»... «ფერგანი», «პიატიგორსკი»... «მოსკოვი»...

ნელა მივყვებით სოხუმის სანაპიროს. ვლაპარაკობთ ახალ ნაცნობებზე.

ზღვა ნელა მოერეკება ტალღებს ნაპირისაკენ. ზღვა ეალერსება მიწას. ის კი გულგრილად იშორებს და უკან აბრუნებს ტალღას... ნაპირზე მოხუცები სხედან და გაჰყურებენ მზეზე მოლივლივე ტალღებს— რამდენჯერ ნახულს, მაგრამ ყოველთვის რაღაც საოცარი იდუმალებით და სიახლით სავსეს. ისინი ერთმანეთს სთავაზობენ პაპიროსს— ერთი «ყაზბეგს», მეორე «ბელომორ-კანალს», მესამე—«ბაიკალს».

ეწევიან, ბაასობენ, ისვენებენ.

მოშორებით ქალ-ვაჟი ზის. ვაჟი ზედიზედ ეწევა «ყაზბეგს». გრძნობ, ეს «ყაზბეგია» ახლა მისი შვება...

მხატვარს ზედ ნაპირთან მიუტანია პალიტრა და ტილოზე გადააქვს მზეზე მოლივლივე ტალღები, მშვიდად რომ მოერეკება ზღვა ნაპირისაკენ. საღებავების გვერდით ასანთი და «ყაზბეგის» კოლოფი დევს...

ნელა მივყვებით სოხუმის სანაპიროს. ვფიქრობთ ჩვენს ახლახან გაცნობილ ქალებზე, თვალწინ გვიდგება მშრალი თამბაქოს სუნით გაჟღენთილი საამქროები, ახალი საგილზე მანქანები, ათასობით ზედიზედ შეწყობილი «ყაზბეგის» კოლოფები და მანქანებთან მომუშავე ქალების სხარტად მოძრავი თითები...





ახალგაზრდა კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე

ფოტო გ. ვახტანგაძის

*არ მაწყენინა 1958 წელმა—თბილისი ავსახე ფირზე, ათასხუთასი წლის ქალაქი. ახლა უფრო დიდი მიზანი მაქვს—მალე დავამთავრო მუშაობა სცენარზე არჩილ სულაკაურის მოთხრობის—«ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან»—მიხედვით.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავმჯდომარის ჯინაზე...

შეიძლება არც გაგიგონიათ ამ სოფლის სახელი. სოფელია, როგორც სოფელი. პატარა, მაგრამ ლამაზი და მშვენიერი. ორსართულიანი ქართული ოდები, რიკულებიანი აივნებით, მოხდენილი ეზოები, წნელის ღობეებით, ქათმებით, სასიმინდეთი, საბძელით და... თამბაქოს საშრობებით აუცილებლად.

გულრიფშის რაიონში არის ასეთი პატარა აფხაზური სოფელი-ვარჩე.

დახუნძლული შემოდგომით და ქორწილით შეგვეგება იგი.

— თვალდახელშუა მაცლიან გოგოებს, ბუზღუნებს ვარჩეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭარავა,— ვეხვეწები სასიძოებს: ნუ მღუპავთ, ამ შუა მუშაობაში ნუ მართმევთ-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე! არ მიჯერებენ.

— ნათელას კი ადვილად ვერ დავთმობთ. ნათელა ასე ვერ გაგვეპარება. რავა, არ იცნობთ ნათელა წურწუმიას? ჩვენი რაიონის თვალია. აგერ, ამ გარდამავალ დროშებს რომ უყურებთ, ყველა ნათელასია თამბაქოს უხვი მოსავლისათვის მიღებული. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის (გუდაუთის რაიონს წაართვა, ოთხი წელიწადია იელიდან არ უშვებს) და კოლმეურნეობის გარდამავალი დროშები. კომკავშირის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით რადიომიმღები «ზარია» და საათი მიიღო. ამას წინათ ახალი «მოსკვიჩიც» შეიძინა... მოდი ახლა, და ნუ გეწყინება ასეთი გოგოს გათხოვება...

კეთილი კაცი ჩანს თავმჯდომარე.

* * *

— დღეს ქორწილია ვარჩეში. სოფლის გოგო-ბიჭები სახლებში გაკრეფილან და ემზადებიან. ნათელა და მისი რგოლის წევრები კი თამბაქოს ფოთლებს უზიან, ასუფთავებენ, თოკზე აცვამენ. საღამომდე ბევრი დროა, მოასწრებენ საქორწილოდ გამოწყობას, სამუშაო კი არ იცდის.

— ერთი გვაჩვენეთ ეგ თქვენი ნათელა,—ამბობს ჩვენი მანქანის ახალგაზრდა მძღოლი შურა.

...თოკებზე აცმულ თამბაქოს ფოთლებს შორის ვერავინ ვერ დავინახეთ.

— აბა, სად არის, «სადა ხარ, ჩემო ციცინათელა?»—გარბის მძღოლი.



**დურიფშის საშუალო სკოლა.**

თამბაქოს ფოთლებში ჩაფლული პატარა ტანის ქალიშვილი წამოიწია. ცოცხალი, ჭკვიანი, ღია ფერის თვალები და მზით გარუჯული სახე შემოგვანათა.

თხუთმეტი წლის იყო ნათელა პირველად დედას რომ გაჰყვა თამბაქოს პლანტაციაში.

«შენზე მეტი ჯანიც მაქვს და შეძლებაცო»,—უთხრა დედას და მერე დროს როგორც კი იხელთებდა, პლანტაციაში ამოჰყოფდა თავს. მუშაობამ გაიტაცა და მალე რაიონში მოწინავე მეთამბაქოეს სახელი მოიხვეჭა.

და რა რთული და საკირკიტოა მეთამბაქოეს შრომა! ფერდობზე გაშენებული თამბაქოს უშველებელი პლანტაცია უნდა მორწყო, გამარგლო, ნამხარი აацალო, გაფურჩქნო, მერე კი თითო-თითოდ, ფოთოლ-ფოთოლ აიღო მოსავალი!

ნათელას რგოლმა, რომელიც უკვე რვა წელია მოწინავედ ითვლება, წელს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: სამნახევარი ტონის ნაცვლად კოლმეურნეობას ჩააბარა ათი ტონა თამბაქო. ახლა სიმინდის, რეჰანის და გერანის მოსავალი? აქ მხოლოდ გეგმის გადაჭარბებაზე ლაპარაკობენ, 23 ტონა გერანი რვა ტონის ნაცვლად, 17 ტონა რეჰანი შვიდის ნაცვლად და ა. შ.

ნათელას რგოლში ცხრა ქალია. ყველა ნათელასავით გამრჯე და შრომისმოყვარე.

— ნახავთ, კიდევ რა საქმეებს დაატრიალებენ გოგოები!—ამაყობს ნათელა.

* * *

**ქორწილში გვეპატიჟებიან ვარჩელები. ჩვენებური ქორწილიც ნახეთო, დაგვილოცეთო ნეფე-დედოფალი!**

ვერ დავრჩებით. შენს ქორწილში კი აუცილებლად ჩამოვალთ ნათელა!..

და მიჰქრის მანქანა სოფლის ორღობეებში. ზედ ბორბლებთან კრიახით ფრთხიალდებიან ეზოებიდან გადმოპარული ქათმები.

— რატომ გაჩუმებულხარ, შურა, რატომ მოიწყინე?

— დავრჩენილიყავით... როგორი ცეკვა იცის. ერთი იმასაც ვნახავდი...

— რაო, მოგეწონა თუ?

მომეწონა, თავმჯდომარის ჯინაზე მომეწონა...

## შეეჩვივნენ, შეიყვარეს...

უკან დარჩა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ბავშვობის და სტუდენტობის დღეები, სახლი, მამა, ძმები, დედის სიტყვები გამომშვიდობებისას:

— ჭკუით იყავი, მაყვალა!

გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნეს მაყვალა ქლენტი აგრონომად.

თითქოს საოცარი არაფერია, ათასობით საბჭოთა ჭაბუკი და ქალიშვილი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და მიემგზავრება იქ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა. მაგრამ რამდენი სიახლე, რამდენი სიძნელე, რამდენი უთქმელი გრძნობა იბადება თვითეულის ცხოვრებაში.

ყველაზე ძნელი მაინც პირველი დღეები იყო.

თვალებგაფართოებული დადიოდა მაყვალა მეურნეობაში. ყველაფერს ათვალიერებდა, ყველაფერს ხელს ავლებდა. უხაროდა, უკვირდა. აქ სხვების ნახელავია, სხვების ნაკვალევი. უფიქრიათ, უშრომიათ—აუ, რამდენი სიმდიდრე დაუხვავებიათ.

პიცუნდა. არასოდეს ენახა, მაგრამ გაეგონა. იცოდა აი, იქ, იმ მთის წვერზე, ძველთა-ძველი ტაძარი იყო. იცოდა, დიდი ხნის წინათ ისმოდა აქ ქართველ მლოცველთა ღაღადისი, პატრიარქიც აქ ბრძანებლობდა. მაყვალა უსათუოდ ნახავს მას, წარსულის ამ დიდებულ ძეგლს...

გოგონას თავს წაადგებოდა მთავარი აგრონომი გაიოზ პაპიაშვილი, მხარზე ხელს დაჰკრავდა, დაუყვავებდა, გაამხნევებდა და მერე ფრთხილად, შეუმჩნევლად დაარიგებდა, ასწავლიდა, და მაყვალასაც ყველაფერი ახსენდებოდა, ყველაფერი ეს ხომ იცოდა... თეორიულად.

ახე იყო პირველად.

ახლა მაყვალამ მთელი მეურნეობა შემოგვატარა, ოქროსფრად დახუნძლული ნარინჯები გვაჩვენა, თვითეულ ძირს მიუალერსა, ხელი შეავ-

ლო. მანდარინის მკრეფავ ქალებს გამოველაპარაკე.

...გალინა შაბუნინა ყუბანიდან ჩამოვიდა 1937 წელს. სად იყო მაშინ ეს პატარ-პატარა, კოხტა, ლამაზი საცხოვრებელი სახლები, მაყვალას რომ დახვდა, სად იყო სკოლის შენობა, კლუბი, სადალაქო, საავადმყოფო, ფოსტა და ტელეგრაფი, აგურის ქარხანა...

არ იყო და მაინც დარჩა გალინა. მის თვალწინ გაიზარდა ეს «პატარა ქალაქი». მისი ხელები შეხებია ყოველ ბუჩქს, თვითონ დაურგავს ეს მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ხეები, ახლა რომ გაუშლიათ მწვანე ტოტები და ოქროსფერი ნაყოფი მოუსხამთ. ყოველ წელს უცინიან ისინი მზეს და გალინას. «გათხოვების დრო არ მაქვსო,— ეღიმება სოციალისტური შრომის გმირს,—ამ ნარინჯებს შევაბერდებიო. ალპათ».

— წელს გეგმით გათვალისწინებული 45.000 ცალი მანდარინის ნაცვლად 100 ათასი ცალი ჩააბარათ სახელმწიფოს,—გვეუბნება მაყვალა.

* * *

— როგორ შეიძლება ზამთარი უთოვლოდ,—უკვირდა პირველად კრასნოიარსკელ პოლინა პროხორენკოს. ყველაფერი აოცებდა. მცხუნვარე მზე, ზღვა, ნარინჯები, აქოჩრილი დაფნის ბუჩქები, ხეხილის ბაღები...

შეეჩვია, შეიყვარა ეს მხარე.

და განა მარტო პოლინამ? მასავით შორეული რუსეთიდან ჩამოვიდნენ და აქ დარჩნენ სამუდამოდ მარია უტოჩკინა, ოლგა უსაჩოვა, ოჯახებით დარჩნენ და არც ნანობენ. არც სხვები ნანობენ მათ დარჩენას.

— მრავალეროვანი ოჯახია ჩვენი მეურნეობა,—ეღიმება მაყვალას და ხელით მკრეფავ ქალებზე გვანიშნებს, ეს მათ გააშენეს 240 ჰექტარზე ციტრუსები, ისინი მისცემენ წელს სახელმწიფოს ოთხი მილიონი მანეთის მოგებას...

შეეჩვივნენ, შეიყვარეს ეს მხარე...

## რა იცოდნენ წინაპრებმა...

დილაა. შემოდგომის მშვენიერი დილა, ზღვის პირას რომ იცის ხოლმე. დურიფშში მივდივართ.

მიქრის მანქანა. გვიახლოვდებიან მთები, გვიღიმიან. მზის სხივები მიეალერსა მწვერვალებს. თოვლი! ირგვლივ გაზაფხულის დარი და ასე ახლოს თოვლი—გვიკვირს. ეღიმება ახალგაზრდა აფხაზს, ჩვენს მანქანას რომ მიაქროლებს თავდავიწყებით. ეღიმება, თაფლისფერ თვალებში მთების ანარეკლი უკიაფებს და კიდევ რაღაც თბილი, თბილი. ვიცით ეს მისი მიწის, მისი სოფლის, ხალხის სიყვარულია...

მიქრის მანქანა. მიქრიან ჩაის ველები, სიმინდის ყანები, ვაზები... ხავერდის ნოხებად გაშლილან ქარვასლა სახლებს შორის მინდვრები.

დურიფშია, ერთი პატარა აფხაზური სოფელი, ჩვეულებრივი თავგადასავლით. ადრე მივიწყებული, ერთი ატალახებული საურმე გზა რომ აერთებდა სამყაროსთან. შორი-შორ ფაცხები, ფაცხის გულში კერა, და ლობიოს ქოთნის გაუთავებელი ბუტბუტი ცეცხლთან. დურიფშის კოლმეურნეთა ეზოებში ქვითკირის მაღალი სახლების გვერდით, ახლაც შენიშნავთ ძველ ფაცხებს, წარსულის მოსაგონრად რომ დაუტოვებიათ აფხაზებს.

— «მწირიაო ჩვენი მიწა», წუწუნებდნენ ძველი აფხაზები, მიტომაც მიუწევდათ გული გარეთ.

— რა იცოდნენ რა სიმდიდრეს ფარავდა ეს წითელი მიწა, ან როგორ მოევლოთ მისთვის!—დანანებით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე კარამზინ გუმბა და ჩაის პლანტაციებისკენ მიგვიძღვება.

— მარტო წელს დურიფშის კოლმეურნეობა თორმეტ მილიონამდე მანეთის მოსავალს აილებს,—კმაყოფილებით განაგრძობს იგი,—გეგმით გათვალისწინებული 1.295 ტონა ჩაის მაგივრად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 1,415 ტონა. ეს ჩვენი ქალების საქმეა,—უღიმის თავმჯდომარე ჩვენსკენ მომავალ ჩაის მკრეფავებს. გვაცნობს. თავაზიანად გვეგებებიან მასპინძლები... ახალგაზრდებიც არიან, ხანდაზმულებიც.

ეკატერინე თარბამ არც იცის რამდენი წლის არის, კი არ მალავს თავის ხნოვანებას, არა, უბრალოდ არც ახსოვს...

მაჰაჯირის დროს დავიბადეო, თურქეთში ასახლებდნენო მაშინ აფხაზებს... დიდი გლოვა ყოფილაო...

ჩვენ ვითვლით—ცხრაათეულ წელს გასცილებია ეკატერინე. რა ცოცხალი ლურჯი თვალები აქვს, რა ახალგაზრდული იერი.





მკერავი ზოია ღონღაძე

ფოტო გ. ვახტანგაძის

*ნეტა ვინ ჩაიცვამს ამას, შავგვრემანი თუ ქერა, ახალგაზრდა თუ?.. ალბათ ახალგაზრდა, ალბათ ლამაზი, ისეთი როგორიც მომწონს...*



რა არისო იმ ზღვას იქეთ, რა არისო ამ მთებს იქეთ, ფიქრობდა აფხაზი ქალი. სოფლის თავში იწყებოდა ეკატერინესათვის სამყარო, მის ბოლოს თავდებოდა იგი, და მაინც რაღაც უჩვეულოს უთქვამდა გული. ელოდა, ელოდა...

მუდამ თავს ხრიდა გოროზი მამის წინ. შავი წამწამების მარაო ეფინებოდა ზღვისფერ თვალებს... რად მიჯავრდებაო, უკვირდა.





ექიმი ლეილა სებისკვერაძე

ფოტო გ. ვახტანგაძის

*გარეთ ღამეა, აქ კი სიცოცხლე მოვიდა, ძე შეგვემატა, მოვიდა და ყვირის...—მიმიღეთ, თქვენი ვარ!*

*ემრავლოს ქვეყანას ვაჟები!*



მერმე ქმრის ოჯახში...

გულში იკრავდა თავის პატარებს და გული ელოდა, ელოდა...

..., ერთბაშად ახმაურდა სოფელი—თავისუფლებაო,—დაიძახა. ეს სიტყვა დაიმახსოვრა, შინაარსი კი გვიან გაიგო... ახლა ეკატერინემ კარგად იცის ამ ზღვის იქეთ რა არის, ამ მთებს იქეთ რა... არის... გული კვლავ ელის, მაგრამ უკვე არა უჩვეულოს, ნელის ელის, თავის პოეტ შვილიშვილს.

სასთუმალთან ნელის ლექსების წიგნი აქვს შენახული. გაეღვიძება. ხელს შეახებს, გაშლის, გადაფურცლავს, ჩაფიქრდება.

რა ცოდვა იქნებოდა ნელი ჩემსავით რომ დაემუნჯებიათო,—გაუელვებს... მერე სახლს მიალაგ-მოალაგებს, შვილიშვილისშვილებს დააპურებს და კალათით ხელში პლანტაციისაკენ გასწევს. წელს 195 შრომადღე აქვს გამომუშავებული. შინ რა დასვამს, ძალა შესწევს, ეხალისება და...

* * *

ოცდასამამდე არიან ოჯახის წევრები—დიდი და პატარა. ყველაზე უფროსი დიდედა ტერეზიაა. მან ოთხმოც წელს გადააბიჯა, მაგრამ ტერეზიას დაუკითხავად, მისი რჩევის გარეშე ვინ გადადგამს ნაბიჯს. დედაჩვენის სიტყვა კანონია,—იტყვიან ძმები არძიბები, ტერეზიას ვაჟები.

ოცდახუთი წლის დაქვრივდა ტერეზია. ოთხი ჩვილი ბავშვი შერჩა ხელში. უფროსი ხუთი წლის იყო, უმცროსი აკვანში ყავდა.

გაუჭირდა. ცარიელი ფაცხა დაუტოვა განსვენებულმა... დილიდან ბოსტანსა და ერთმტკაველა ყანაში ტრიალებდა, საღამოობით ცეცხლის პირას ართავდა ბამბის ძაფს... შიში უკრთობდა ძილს.

ახალმა დრომ მოუსწრო და ყველაფერი შეიცვალა ტერეზიას ცხოვრებაში...

ოცდასამამდე არიან ოჯახის წევრები, დიდი და პატარა, მაგრამ ტერეზიას სიტყვა ხომ კანონია...

— რა ვქნა, პლანტაციების გარეშე ცხოვრება არ შემიძლია,—გვეუბნება იგი,—მომწყინდება და მოვკვდები. ხელს გვართმევს. ვგრძნობთ მისი ხელების ძალას.

— ხელმა არ გიკბინოთო!—ხუმრობს ხანდაზმული მანდილოსანი.

არა, ჯაფით დაკოჟრებული მისი ხელები არ იკბინებიან... მისმა ხელებმა გააშენეს ეს დიდებული კოლმეურნეობა, ასე ლაღად რომ გაშლილა მთების ძირას. ეს მაღალი, ორსართულიანი საშუალო სკოლის შენობა, ეს ფერმა, ეს საავადმყოფო, კულტურის ახალი სახლი რომ შენდება, ყველაფერი მისი მეგობარი ქალების ხელით ნაჯაფია... ახალგაზრდობაც მათსავით ბეჯითი და შრომისმოყვარე...

თვალს ვერ ვაშორებთ ორ ქალიშვილს. გაგვაცნეს, მაგრამ ვერ ვარჩევთ რომელია გალინა და რომელი ნუცა.

— მამასაც ეშლებაო,—ხუმრობს კარამზინი.

გალინა და ნუცა ტყუპები არიან. ერთ დღეს გაჩნდნენ და ყველაზე უფრო ერთმანეთი უყვართ. სულ ერთად არიან. ორი წელია სკოლა დაამთავრეს. ორი წელია უვლიან ჩაის ბუჩქებს.

ოთხასამდე შრომადღე გამოიმუშავეს ორთავემ.

— ბედნიერიაო ჯგუჯგუ არძიბა,—ამბობენ დურიფშელები,—ნუცასა და გალინას გარდა კიდევ ოთხი ჰყავს...

სანამ მზე მთის მწვერვალებს დაკოცნის, დები არძიბები, მათი მეგობრები მიყვებიან ჩაის ბუჩქებს, ქორფა ფოთლებით ივსება კალათები, ყუთები, მანქანები...

ვემშვიდობებით დურიფშელებს. მიქრის მანქანა. ახლა უკან რჩება მთები, თოვლი..

წინ ზღვა ჩამუქებულა ლურჯად. ირგვლივ ჩაის ბუჩქები აქოჩრილან, აღმართულან ქარვასლა სახლები... ეღიმება ახალგაზრდა აფხაზს, ასე გატაცებით რომ მიაქროლებს მანქანას. ახლა მის თვალებში ზღვის ანარეკლი კიაფობს და კიდევ რაღაც თბილი, თბილი, ეს მისი მიწის, მისი ხალხის, მისი სოფლის სიყვარულია. ასეთი თვალები ჰქონდათ ეკატერინეს, ტერეზიას, ნუცას, გალინას, კარამზინსა და ჯგუჯგუს...

მართლაც რომ ღირს ამ ქვეყნად სიცოცხლე!..

**მედეა კვარაცხელია, ლია გოგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლის სიყვარული



**ჯეკ ლონდონი**

მოთხრობა

დასასრული*

ილუსტრაციები დ. ერისთავის, თ. მირზაშვილის

მეორე დღე კვლავ ბურუსიანი იყო. საბნის დარჩენილი ნახევარიც მან ფეხსახვევებად გამოიყენა, ილაჯგამოცლილმა ბილის ნაფეხურები ვეღარ იპოვა, თუმცა ამას ახლა აღარ ნაღვლობდა. შიმშილი ულმობლად მიერეკებოდა წინ,—მხოლოდ ფიქრობდა, ვაი თუ ბილსაც ასევე დაებნაო გზა. შუადღისას ზურგზე მოდებულმა ფუთამ აუტანლად გააწამა. ოქრო კვლავ გაყო შუაზე, ამჯერად ნახევარი პირდაპირ მიწაზე დაყარა. ნაშუადღევს მეორე ნახევარიც გადააგდო, დაიტოვა მხოლოდ საბნის ნაფლეთი, თუნუქის ვედრო და თოფი.

მოჩვენებებმა დაუწყეს ტანჯვა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მას ერთი ვაზნა დარჩა, რომელიც თოფის სავაზნეში ედო. მან ეს დიდიხანია შენიშნა. ამავე დროს იცოდა, რომ მთელ მის გზაზე თოფის სავაზნე ცარიელი იყო. მაგრამ მოჩვენება მოსვენებას არ აძლევდა. საათობით ებრძოდა ამ მოჩვენებას, მერე თოფი გადახსნა და ნახა, რომ სავაზნე მართლაც ცარიელი იყო. გულის გაცრუება იმდენად მწარე იყო, თითქოს იგი მართლაც ელოდა, რომ სავაზნეში ვაზნას იპოვნიდა.

გავიდა ნახევარი საათი და მოჩვენება ისევ აღეძრა. იგი იქამდე ებრძოდა ამ მოჩვენებას, სანამ თოფი ხელმეორედ არ გადახსნა, რათა თვალნათლივ დაენახა სავაზნე. დროდადრო გონება უბნელდებოდა და გზას ავტომატურად განაგრძობდა. უცნაური მოჩვენებები და წარმოდგენები ჭიებივით უღრღნიდნენ ტვინს. მაგრამ გონების ეს ბორიალი დიდხანს არ გრძელდებოდა, შიმშილის მტანჯველი გრძნობა განუწყვეტლივ აბრუნებდა მას სინამდვილესთან. ერთხელ იგი გონს მოიყვანა ისეთმა სანახაობამ, რომლის გამო მაშინვე კინაღამ გული წაუვიდა. მთვრალი კაცივით დაბარბაცდა და უკან გადაქანდა, ფეხზე ძლივს დამაგრდა. მის წინ იდგა ცხენი, ცხენი! თვალებს არ უჯეროდა. სინათლის მოკიაფე წერტილებით დაწინწკლული სქელი ბურუსი ჩასდგომოდა თვალებში. გაშმაგებით დაიწყო თვალების ფშვნეტა, რათა ხედვა გადაწმენდოდა, და თავის წინ დაინახა არა ცხენი, არამედ ვეებერთელა მურა დათვი, მხეცი მტრული გაოცებით ათვალიერებდა მას.

კაცმა სანახევროდ უკვე მოიმარჯვა თოფი, ვიდრე გონს მოეგებოდა. თოფი დაუშვა და გვირისტით შეკერილი ქარქაშიდან სანადირო დანა ამოიღო. მის წინ იყო ხორცი და... სიცოცხლე. ცერი აუსვა დანის პირს, დანის პირიცა და წვერიც ბასრი იყო. ახლა იგი დაეძგერება დათვს და მოკლავს. მაგრამ გული აუძგერდა, თითქოს აფრთხილებსო: ბუგ, ბუგ ბუგ. მერე გული მკერდში გაშმაგებით შეხტა და აჩქარებული ფანცქალი დაიწყო, შუბლზე თითქოს რკინის სალტეები შემოეჭდო და თავბრუ დაეხვა.

თავგამეტებული გამბედაობა შიშის ტალღამ წალეკა. თავად რომ ასე უღონოა, რა მოუვა, დათვი რომ დაეძგეროს? მგზავრი მთელი თავისი სიმაღლით აიმართა, რაც შეიძლებოდა შთამაგონებელი გამომეტყველებით, დანა მოიმარჯვა და დათვს პირდაპირ შეხედა. დათვმა ბაჯბაჯით გადმოდგა ნაბიჯი წინ, ყალყზე შედგა და დაიღრიალა, კაცი რომ გაქცეულიყო, დათვი დაედევნებოდა. მაგრამ კაცი ადგილიდან არ დაძრულა, შიშისაგან თითქოს გამხნევდა. მანაც მხეცივით შემზარავად დაიღრიალა. ამ ღრიალით შიში გამოხატა, შიში, რაც მტკიცედ არის დაკავშირებული სიცოცხლესთან და მჭიდროდ ჩაწნული მის ღრმა ფესვებში.

დათვმა ბოროტად დაიდრინა და გვერდი იბრუნა. იგი შედრკა ამ უცნაური არსების წინაშე, რომელიც უშიშრად აღმართულიყო. კაცი არ ინძრეოდი, ქანდაკებასავით იდგა, ვიდრე საშიშროებამ არ გაიარა. მერე კი ციებცხელებიანივით აკანკალებული გაიშხლართა სველ ხავსზე,

ძალა რომ მოიკრიბა, გზას გაუდგა ახალი შიშით შეპყრობილი. ეს უკვე აღარ იყო უჭმელობით გამოწვეული სიკვდილის შიში. ახლა მას ის აშინებდა, რომ მანამდე არ გამხდარიყო რაიმეს მსხვერპლი, ვიდრე შიმშილს არ ჩაეხშო მის არსებაში სიცოცხლის შენარჩუნების უკანასკნელი სწრაფვა. ირგვლივ მგლები იყვნენ. ამ უდაბნოში ყოველი მხრიდან მოისმოდა მათი ყმუილი, ჰაერიც ისე იყო აღსავსე თავდაუღწეველი საშიშროებით, რომ უნებლიედ ხელები მაღლა ასწია ამ საშიშროების ასაცილებლად, თითქოს ქარით შერხეულ კარვის კალთას იშორებსო.

მგლები გზაზე გადაურბოდნენ, ხან ორი, ხან სამი. მაგრამ ახლოს არ ეკარებოდნენ. მგლები არც ისე ბევრი იყვნენ. გარდა ამისა, ისინი დაჩვეული იყვნენ ნადირობას კანადის ირმებზე, რომლებიც წინააღმდეგობას არ უწევდნენ. ეს უცნაური არსება კი ორ ფეხზე დადის და, ალბათ, კიდევაც იკაწრება და იკბინება.

გვიან ნაშუადღევს მგზავრი წააწყდა ძვლებს, გაფანტულს იმ ადგილას, სადაც მგლებს თავისი მსხვერპლი დაეგლიჯათ. ერთი საათის წინ ეს ნაგლეჯები ცოცხალი ირმის ნუკრი იყო, იგი ალბათ მარდად და ხალისიანად კუნტრუშობდა, ბღაოდა. კაცი დაჰყურებდა ამ სუფთად გახრულსა და მოლაპლაპე ძვლებს, რომელთაც ვარდისფერი გადაჰკრავდათ, რადგან მათ უჯრედებში სიცოცხლის ნიშანწყალი ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. შეიძლებოდა, რომ დღის ბოლოს თვითონაც ასევე ნაგლეჯები ყოფილიყო? ეჰ, ასეთია სიცოცხლე! ამაო და სწრაფწარმავალი. მხოლოდ სიცოცხლე გვაიძულებს ვიტანჯოთ. სიკვდილში ტკივილი არ არის. მოკვდი— დაიძინე. სიკვდილი ნიშნავს დასასრულს, დასვენებას. მაშინ რატომ არ სურს მას მოკვდეს?

მაგრამ დიდხანს აღარ უმსჯელია. მალე ის უკვე ხავსზე იჯდა, პირში ძვალი ეჭირა და წუწნიდა მისგან სიცოცხლის უკანასკნელ ნაწილაკებს, რომლებიც ძვალს ჯერ კიდევ აძლევდნენ ვარდისფერს. ჟას აგიჟებდა ხორცის ტკბილი გემო, ოდნავ შესამჩნევი და მიუწვდომელი, როგორც მოგონება. ძვალს ყბები მაგრად მოუჭირა და ხვრა დაუწყო. ხან ძვალი იმსხვრეოდა, ხან კი კბილები. მერე ქვით შეუდგა ძვლების ნაყვას. ძვლებს ფაფად აქცევდა და ხარბად ყლაპავდა. სიჩქარის გამო თითებზედაც იცემდა ქვას და მიუხედავად ამისა, იმის დროს მაინც პოულობდა, რომ გაკვირვებოდა, რატომ არ გრძნობდა დიდ ტკივილს ქვის დარტყმისაგან.

დადგა წვიმებისა და თოვლის საშინელი დღეები. მგზავრს უკვე აღარ ახსოვდა როდის ჩერდებოდა დასასვენებლად და როდის განაგრძობდა ისევ გზას. მიდიოდა ღამითაც და დღისითაც, ისვენებდა იქ, სადაც დაეცემოდა, მილასლასებდა წინ, როდესაც მიმქრალი სიცოცხლე კვლავ იფეთქებდა და აღიგზნებოდა მის არსებაში. ის უკვე აღარ იბრძოდა ისე, როგორც იბრძვის ადამიანი. მხოლოდ მის არსებაში შემორჩენილი სიცოცხლე ვერ ურიგდებოდა სიკვდილს და მიერეკებოდა მას წინ. ის უკვე აღარ იტანჯებოდა, ნერვები დაუჩლუნგდა, თითქოს გაშეშდაო, თავში უცნაური მოჩვენებები და წარმტაცი სიზმრები ეროდა.

---

*) დასაწყისი იხ. № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ ის განუწყვეტლივ წუწნიდა და ღეჭავდა ირმის ნუკრის დამტვრეულ ძვლებს, რომლებიც უმცირეს ნამცეცებამდე აკრიფა და თან წაიღო. იგი მეტად აღარ ადიოდა გორაკებზე, აღარ გადადიოდა წყალგამყოფ ქედებზე, ანგარიშმიუცემლად მიჰყვებოდა იმ დიდი მდინარის ნაპირს, რომელიც ფართო და ტიტველ ველზე მიედინებოდა. იგი ვერ ხედავდა ვერც ამ მდინარეს, ვერც ამ ველს. მის თვალწინ მხოლოდ მოჩვენებები ირეოდა. მისი სული და მისი სხეული გვერდ-გვერდ მიდიოდნენ, მაგრამ მაინც განცალკევებულად, რადგან მეტად დასუსტებული იყო მათი დამაკავშირებელი ძაფი.

ერთხელ ის გონს მოვიდა, როცა ბრტყელ ქვაზე პირაღმა მწოლარეს გაეღვიძა. მზე ცხოვლად კაშკაშებდა და თბილოდა. შორიდან ესმოდა ირმის ნუკრების ბღავილი. მას ბუნდოვნად ახსოვდა წვიმა, ქარი, თოვლი, მაგრამ რამდენხანს სტანჯავდა ავდარი — ორ დღეს თუ ორ კვირას, ეს არ იცოდა.

დიდხანს იწვა გაუნძრევლად. მცხუნვარე მზე უხვად აფრქვევდა სხივებს და სითბოთი ავსებდა მის საცოდავ სხეულს. „კარგი დღეა“ — გაიფიქრა მან. შესაძლოა, როგორმე გაარკვიოს მიმართულება. დიდი გაჭირვებით წამოიწია და გვერდზე შებრუნდა, იქ, ქვემოთ, ფართო და მდორე მდინარე მიედინებოდა. მდინარე მისთვის უცნობი იყო და ამან საგონებელში ჩააგდო.

დინჯად დაჰყურებდა მის დინებას, ხედავდა, როგორ მიიკლაკნებოდა მოტიტვლებულ და პირქუშ გორაკებს შორის, უფრო მეტად მოტიტვლებულ, პირქუშ და დაბალ გორაკებს შორის, ვიდრე აქამდე უნახავს. წყნარად, გულგრილად, ყოველგვარი ინტერესის გარეშე გაადევნა მან თვალი მდინარეს თითქმის ცის კიდემდე და დაინახა, რომ შორეთში იგი ერთვოდა ნათლად მოლაპლაპე ზღვას. მაგრამ ამ სანახაობამ მაინც ვერ ააღელვა.

„მეტად უცნაურია, — გაიფიქრა მან, — ეს ან მირაჟია ან მოჩვენება, არეული გონების ცდუნება“. ამაში უფრო დარწმუნდა, როცა მოლაპლაპე ზღვაში ღუზაჩაშვებული გემი დაინახა. ერთი წამით თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. საოცარია, რომ მოჩვენება არ ქრება! თუმცა რა საოცრებაა. მან იცოდა, რომ ამ უნაყოფო ქვეყნის შუაგულში არც ზღვებია, არც გემები, ისევე როგორც არ არის ვაზნა მისი ცარიელი თოფის სავაზნეში.

მგზავრს უკნიდან მოესმა რაღაც ხრიტინქლოშინი თუ ხველა. ვინაიდან საშინელ სისუსტესა და გაშეშებას გრძნობდა, მგზავრი ნელა და დიდი გაჭირვებით შებრუნდა მეორე გვერდზე. ახლომახლო ვერაფერი დაინახა და მოთმინებით დაიწყო ლოდინი. ისევ გაისმა ხროტინი და ხველა. მისგან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, წვეტიან ქვებს შორის დაინახა მგლის რუხი თავი. მგელს ყურები აცქვეტილი არ უჩანდა, როგორც ეს მგზავრს სხვა მგლებისთვის შეუმჩნევია ხოლმე, თვალები ამღვრეული და სისხლით სავსე ჰქონდა, თავიც უღონოდ და უილაჯოდ ჩაექინდრა, მზის სინათლეზე თვალებს განუწყვეტლივ ჭუტავდა, ჩანდა, მგელი ავადმყოფი იყო: მას სულ ახველებდა და ახიხინებდა.

„აი ეს უკვე სინამდვილეა“ — გაიფიქრა მგზავრმა და ისევ მეორე გვერდზე შებრუნდა, რომ მოჩვენებების ბურუსში გაუხვეველი ნამდვილი ქვეყანა დაენახა. მაგრამ ზღვა ისევ ლაპლაპებდა შორეთში, გემიც ნათლად მოჩანდა. შეიძლება ყოველივე ეს ნამდვილია? მან თვალები დახუჭა, ფიქრი დაიწყო და ბოლოს გაერკვა საკითხში. ის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, სულ უფრო და უფრო შორდებოდა მდინარე დიზს და აღმოჩნდა კოპერმაინის ხეობაში. ეს ფართო და მდორე მდინარე კოპერმაინია. ეს მოლაპლაპე ზღვა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანეა. ეს გემი კი ვეშაპთსანადირო გემია, რომელიც შორს წამოსულა აღმოსავლეთისაკენ მდინარე მაკენზის შესართავიდან და ახლა ღუზა ჩაუშვია კორონაციის უბეში. მან მოიგონა ჰუძონის უბის კომპანიის რუკა, რომელიც ოდესღაც ნახა და მისთვის ყოველივე ნათელი და გასაგები გახდა.

წამოჯდა და ისევ გადაუდებელ საქმეებზე დაიწყო ფიქრი. საბნის ნაჭრებისაგან გაკეთებული ფეხსახვევები მთლად დაეხა და ფეხები სულ გადაყვლეფილი ჰქონდა. უკანასკნელი საბანიც გახარჯული იყო, თოფი და დანა დაჰკარგა. ქუდიც დაჰკარგა სადღაც და მასთან ერთად ქუდის სარჩულში შენახული ასანთის ღერებიც. მაგრამ თამბაქოს ქისაში ჩაყრილი და პერგამენტში გახვეული ღერები, უბეში რომ ჰქონდა შენახული, გადარჩენილიყო და მშრალიც იყო. კაცმა საათს დახედა. იგი ისევ მუშაობდა და თერთმეტს უჩვენებდა, როგორც ჩანს, საათის მომართვა არ ავიწყდებოდა.

მგზავრი დამშვიდებული და აზრებმოკრეფილი იყო· მიუხედავად საშინელი სისუსტისა, არავითარ ტკივილს არ გრძნობდა, შიმშილიც არ აწუხებდა. საჭმლის გახსენებაც კი არ სიამოვნებდა, და რასაც აკეთებდა, აკეთებდა მხოლოდ გონების კარნახით. მუხლს ქვემოთ შარვლის ტოტი მოიხია და ტერფებზე დაიხვია. ვედრო რატომღაც არ გადააგდო: საჭირო იყო ადუღებული წყალი დაელია, სანამ გემისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა — მეტად ძნელ გზას, როგორც ამას წინასწარ გრძნობდა.

ყველა მისი მოძრაობა ძალიან ნელი იყო. დამბლადაცემულივით ძიგძიგებდა. მას სურდა მშრალი ხავსი მოეგროვებინა, მაგრამ ფეხზე ვერ წამოდგა. რამდენჯერმე სცადა წამოდგომა და ბოლოს დაოთხილი გაფორთხდა. ერთხელ სულ ახლოს მიფორთხდა ავადმყოფ მგელთან. მხეცმა უხალისოდ უტია გზა და უღონო ენით მოილოკა ლაშები. კაცმა შენიშნა, რომ ნადირს ენა ჯანსაღი წითელი ფერისა კი არ ჰქონდა, არამედ რუხ-ყვითელი და ზედ ნახევრადგამხმარი ლორწო გადაკვროდა.

ერთი ბოთლი ადუღებული წყალი რომ შესვა, კაცმა იგრძნო, შეეძლო წამოდგომა და გავლაც კი, თუმცა იგი თითქმის მომაკვდავი იყო. თითქმის ყოველწუთს ისვენებდა, სუსტი, უილაჯო ნაბიჯებით მიდიოდა და ასევე სუსტად და უილაჯოდ მილასლასებდა მის უკან მგელი.

და ამ ღამით, როდესაც მოლაპლაპე ზღვა წყვდიადმა დაფარა, მგზავრმა იცოდა, რომ ზღვას მხოლოდ ოთხი მილით მიუახლოვდა.

ღამით გამუდმებით ესმოდა ავადმყოფი მგლის ხველა, ხოლო ხანდახან ირმის ნუკრების ბღავილი. ირგვლივ სიცოცხლე სუფევდა, ჯანმრთელი და ძალებით სავსე სიცოცხლე. მგზავრმა კი იცოდა, რომ ავადმყოფი მგელი კვალდაკვალ მისდევდა ავადმყოფ კაცს იმ იმედით, რომ ეს კაცი მასზე ადრე მოკვდებოდა. დილით, თვალები რომ გაახილა, დაინახა, რომ მგელი ნაღვლიანად და ხარბად შეჰყურებდა მას. გაძვალტყავებული და საწყალობელი ძაღლის მსგავსი ნადირი თავჩაქინდრული და კუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭამდა რომ შეძლებოდა. კაცს ხანდახან გონებამიხდილობის ტალღა ფარავდა და გრძელი სიზმრები ეზმანებოდა, მაგრამ ყოველთვის სიზმარშიაც და ცხადშიაც, ელოდა, რომ საცაა გაიგონებს ხრინწიან სუნთქვას და ხორკლიანი ენაც მოლოკავს.

სუნთქვა არ გაუგონია, მაგრამ ძლივს გაიღვიძა იმის გამო, რომ ხორკლიანი ენა შეეხო მის ხელს. კაცი ელოდა. მგელმა კბილები ჯერ ნელა მოუჭირა მის ხელს, მერე უფრო მაგრად, მგელი უკანასკნელ ღონეს იკრეფდა, რომ კბილები ჩაესო ნადავლისათვის, რასაც ასე დიდხანს უძუძგურებდა. მაგრამ კაციც დიდხანს ელოდა და მანაც ნაკბენი ხელი მგელს ყბაში ჩაავლო, და სანამ მგელი სუსტად იბრძოდა თავდასაღწევად, ხოლო კაცის ერთი ხელი ასევე სუსტად უჭერდა მას ყბაში, მეორე ხელი გამოიწია და მგელს ყელში წვდა. კიდევ ხუთი წუთი და კაცი მთელი თავისი სხეულის სიმძიმით ზემოდან დააწვა მგელს. მის ხელებს ძალა არ ჰყოფნიდა, რომ მგელი დაეხრჩო, მაგრამ მგლის ყელს სახით მიაწვა და პირი ბალნით აევსო. გავიდა ნახევარი საათი და კაცმა იგრძნო, რომ ყელში რაღაც თბილი ნაკადი ჩასდიოდა. ეს მეტად უსიამოვნო იყო, თითქოს სტომაქში გამდნარ ტყვიას ასხამდნენ, და კაცი მხოლოთ ნებისყოფის დიდი დაძაბვით ითმენდა ამას. მერე ის ზურგზე გადაბრუნდა და ძილს მიეცა.

ვეშაპთსანადირო გემზე «ბედფორდზე» სამეცნიერო ექსპედიციის რამდენიმე წევრი იყო. გემბანიდან მათ შენიშნეს ნაპირზე რაღაც უცნაური არსება. იგი სილაზე მოცოცავდა ზღვის მიმართულებით. მეცნიერებმა ვერ გაარკვიეს თუ რა იყო ის, და როგორც ბუნებისმეტყველებს შეფერის ხოლმე, ნავში ჩასხდნენ და ნაპირისაკენ გასწიეს. მათ დაინახეს ცოცხალი არსება, მაგრამ ადამიანი ძნელად თუ დაერქმეოდა ამ არსებას. ცნობამიხდილს არც არაფერი ესმოდა, არც არაფერი გაეგებოდა, მხოლოდ მიწაზე იკვარწნებოდა, როგორც ვეებერთელა მატლი. წინ წაწევის მთელი მისი ცდა თითქმის უშედეგო იყო, მაგრამ ამ ცდას მაინც დაჟინებით განაგრძობდა, კრუნჩხვითა და კლაკვნით მოფორთხავდა და შესაძლოა საათში ოც ნაბიჯს გადაინაცვლებდა.

სამი კვირის შემდეგ კაცი ვეშაპთსანადირო გემის «ბედფორდის» საწოლზე იწვა, დამჭკნარ ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა და ჰყვებოდა, თუ ვინ იყო და რა გადახდა თავს. იგი არეულად ლუღლუღებდა რაღაცას თავისი დედის, მზიური სამხრეთ კალიფორნიისა და იმ სახლის შესახებ, რომელიც ფორთოხლის ხეებსა და ყვავილებს შორის იდგა.

გავიდა რამდენიმე დღე და იგი უკვე მაგიდასთან იჯდა მეცნიერებსა და გემის უფროსებთან ერთად. მას ახარებდა საჭმლის სიუხვე, შეშფოთებით აყოლებდა თვალს ყოველ ლუკმას, რომელიც სხვის პირში ჩადიოდა, და თვალებში ღრმა მწუხარება ეხატებოდა. იგი სრულ ჭკუაზე იყო, მაგრამ სუფრასთან მსხდომი ადამიანები მაინც ეჯავრებოდა. მას მოსვენებას არ აძლევდა იმის შიში, რომ საჭმელი არ ეყოფოდათ. იგი ეკითხებოდა სურსათის მარაგის შესახებ მზარეულს, გემის ბიჭს და თვით კაპიტანსაც კი. ისინი მუდამ ამშვიდებდნენ, მაგრამ იგი არავის უჯეროდა და ჩუმად იჭვრიტებოდა საკუჭნაოში, რომ საკუთარი თვალებით ენახა.

შენიშნეს, რომ კაცი სუქდებოდა, დღითი-დღე მატულობდა სიმსხოს. მეცნიერები თავს აქნევდნენ და სხვადასხვა თეორიებს სთხზავდნენ. კაცს საჭმელი განუსაზღვრეს, მაგრამ იგი მაინც მატულობდა სისქეში, განსაკუთრებით წელის არეში.

მეზღვაურებს ეცინებოდათ. მათ იცოდნენ რაშიც იყო საქმე. მაგრამ როცა მეცნიერებმაც დაიწყეს დაკვირვება ამ კაცზე, მათაც ყველაფერი გაიგეს. დაინახეს, რომ ყოველი საუზმის შემდეგ კაცი გაიპარებოდა ხოლმე გემის წინა ერდოზე და იქ მათხოვარივით უწვდიდა ხელს რომელიმე მეზღვაურს. მეზღვაურიც ჩაიცინებდა და კაცს ერთ ნაჭერ ბისკვიტს მისცემდა. ის ხარბად წაეტანებოდა ბისკვიტს, დააშტერდებოდა ისე, როგორც ძუნწი ოქროს და უბეში ჩამალავდა. ასეთივე საჩუქრებს მას ღიმილით აძლევდნენ სხვა მეზღვაურებიც.

მეცნიერებმა არაფერი უთხრეს და თავის ნებაზე მიუშვეს. მაგრამ მათ ჩუმათ დაათვალიერეს მისი საწოლი. იგი სავსე იყო ნამცხვრებით, ლეიბიც გატენილი იყო ნამცხვრებით. ყველა ხვრელსა დი კუთხეში მიმალული ქონდა ნამცხვარი. თუმცა ის სრულ ჭკუაზე იყო, მხოლოდ ზომებს იღებდა შიმშილობის შესაძლებელი შემთხვევისათვის—ეს იყო და ეს. მეცნიერებმა თქვეს, ეს ზნე გაუვლისო. და ასეც მოხდა, ვიდრე «ბედფორდი» ღუზას ჩაუშვებდა სან-ფრანცისკოს ნავ სადგურში.

ინგლისურიდან თარგმნა

ა ნ ა რ ა ტ ი ა ნ მ ა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვი



იაროմირ იედლიჩკა

ჩეხი პროფესორი იარომირ იედლიჩკა, პრაღის უნივერსიტეტის ახლო და შუა აღმოსავლეთის ფილოლოგიის ისტორიის კათედრაზე. სხვა ენებთან ერთად კითხულობს ქართული ენის კურსს. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, ი. იედლიჩკა ჩეხურად თარგმნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურას. უკვე თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, . ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, დ. ჭონქაძის, გ. ლეონიძის ნაწარმოებნი. ახლახან გამოვიდა მის მიერ უშუალოდ ქართულიდან თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

მას აქვს აგრეთვე წინათ დაწერილი და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული 32 მოთხრობა და ნარკვევი.

საინტერესოა მისი ოთხნაწილიანი მოთხრობა ბავშვებზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ თავს ამ მოთხრობიდან.

ერთ წყნარ და მზით სავსე ნაადრევი შემოდგომის დღეს, პირისფერ ალიონთან ერთად პრაღის მრავალსართულიან სახლში დაიბადა პატარა ვარდისფერი ბავშვი,

დედის გვერდით დააწვინეს აკვანში იგი, სუფთა, როგორც ახლად გამოჩერჩილი კაკლის გული, ტკივილებითა და განსაცდელით სავსე ღამეგამოვლილი.

გაჩნდა დიდიხნის ნალოდინარი, ათასჯერ ნანატრი, ფანტაზიისა და სისხლ-ხორცის ნაყოფი, მაგრამ ახლა აქ უღონოდ იწვნენ ორივენი,—დედა და შვილი. დედას სახეზე ოდნავი უკმაყოფილება ეჩნეოდა: ბავშვი ძალიან პატარა ეჩვენებოდა მის დიდ წადილსა და სიყვარულთან შედარებით.

გაისმა ბავშვის ოდნავი წამოტირება, წუწუნი, რომლის მელოდიამ ბედნიერებით აღავსო დედის გული. მას დედის ტუჩები ჰქონდა, დედას—მისი. წოვდა და წითლდებოდა დობაბვისაგან,

ის უკვე დედის გვერდით იწვა არა როგორც მისივე სხეულის მონაჭერი,—დედა მას ესაუბრებოდა, კოცნიდა, როგორც პატარა ახალ ადამიანს. რაც უფრო მეტად განიყოფოდნენ, მით უფრო მეტად ახლონი ხდებოდნენ. დედას აგონდებოდა, თუ რა საშინელი იყო ის ღამე, და როგორ წამში გადაავიწყდა ყველაფერი! დაინახა თუ არა ხელში მაღლა აყვანილი გამარჯვებული მოფრთხიალე პირმშო.

გამხდარმა მღვდელმა მოიტანა «Sal sapientiae*, ბავშვს პირჯვარი გადასწერა და სახელი დასდო. სახლში რომ უნდა გადაეყვანათ, დედა შევიდა ბავშვთა ოთახში. ბავშვები გვერდიგვერდ ფუნთუშებივით ელაგნენ. მათ შორის არცერთმა თვალი არ გაახილა, მხოლოდ მან იგრძნო დედის მოსიყვარულე შეხედვა, მისი სიახლოვე.

მთელი გზა ეძინა. სახლშიც მძინარე დააწვინეს დედასთან ახლოს, მშობლები სულგანაბულნი უსმენდნენ თავის პატარა სტუმრის ატეხილ სლოკინს და ხშირ სუნთქვას.

დარდმა, შიშმა, ზრუნვამ და ბედნიერებამ დედა ავად გახადა. ირგვლივ ვეღარავის ხედავდა; გათანგული, შეღონებული მიწვა და მიიძინა. უცებ შეხტა, შეშინებულს გამოეღვიძა, ლოგინიდან წამოიჭრა მიიხედ-მოიხედა და დაწყნარებული ისევ ლოგინზე დაეშვა:

—მომეჩვენა თითქოს ბავშვი წამართვეს.

ბავშვს ალებინებდა, და როცა შეწუხებულს პაწაწინა ტუჩებზე, სახელოებზე, პერანგზე, ყურებზეც კი გადმოეღვარა ამონაღები, სახეზე ოდნავი, ფარული, პირველი და თითქმის მწარე ღიმილი გამოესახა. ჯერ გაოცებული უყურებდა მამას, მერე ჩაფიქრებულმა მზერას თავი გაანება. ავადმყოფ სასომიხდილ დედის სახეზეც ღიმილი თრთოდა,

— ბავშვს რომ შევხედავ, ვიგრძნობ, რომ კიდევ მაქვს ძალღონე,—დაჯერებულად წამოიძახა დედამ.

თვალღია წვებოდა. ღამე ესმოდა ბავშვის ოდნავი წამოტირება, ბუზის ფრთების რხევასაც კი გებულობდა, ბუზის, პირველი აშკარა მტრისა, რომლის სითამამე გულს წყრომითა და მრისხანებით უვსებდა. ზოგჯერ ბავშვი, როცა მას შეხედავდნენ, ატირდებოდა, თითქოს უენოს მარტოობის შიში იპყრობსო,

იზრდებოდა. ათასნაირ ახალ და შესაფერ სახელს არქმევდნენ იმისდა მიხედვით, თუ რის ახალ უნარს გამოამჟღავნებდა. ერთ საღამოს მისმა პატარა ყელმა მთელი რიგი გაბმული, ნაღვლიანი, მხიარული და იდუმალებით სავსე «ალუ-ალულულუ...» ამოიღუღუნა. შემკრთალნი, ბედნიერნი, განაბულნი უსმენდნენ მას. როცა პირველად დედას ბავშვმა ნიკაპში ხელი წაავლო, მას სახე აელეწა და მღელვარებისაგან ხმა ჩაუწყდა. სატარებელი ეტლიდან იგი გამოიყურებოდა პირწითელა ტაკიმასხარასავით, თან ბაყაყივით ყიყინებდა, ხოჭოსავით ზუოდა. მასში უკვე ცნობისმოყვარეობა ილვიძებდა, მიწოდებულ ძუძუს უყურებდა, შესცქეროდა დედას სახეში და გაოცებულს თვალებში ორივე, ერთად, განუყოფლად ეჩვენებოდა. ათვალიერებდა, სინჯავდა თავის თითებს. უცინოდა იქვე ჩამოკიდებულ ტანისამოსს, ესაუბრებოდა, ცოცხალ არსებად მიაჩნდა. ლამპა იზიდავდა, და არა მარტო საღამოობით, დღისითაც, ბენგალურ ცეცხლს თვალს ვერ აშორებდა, როცა საშობაოდ ანთებულ ნაძვის ხის ქვეშ ცოცხალი საჩუქარივით იდგა.

მოვიდა დრო, დედამ ბავშვი ფანჯარასთან მიიყვანა და სამყარო დაანახვა. დიდხანს, დიდხანს უყურა მცხრალ მზეს, უცქირა მდელოს ხეებს, მიდამოს და ზამთრის თეთრი სხივებით გაბრწყინებულ მის პატარა სახეს მკრთალი ღიმილი დაემჩნა.

დადგა წუთი მისი პირველი უზომო გაოცებისა: მან თავისი პაწაწინა ფეხები დაინახა, ლოგინზე წყნარად მჯდარმა მოულოდნელად შენიშნა ისინი და გაოცებული გაირინდა, უყურა, ათვალიერა, მერე სწვდა ფეხს; ფეხის გულებს ერთმანეთს ისე უტყაპუნებდა, როგორც ხელის გულებს, და უკვირდა.

კაუჩუკის ხვიხვინა «რაშის» გარდა, ყველაზე საყვარელ სათამაშოდ ბალერინა «ნანას» ძველი ფიგურა მიაჩნდა, რომელიც მუსიკის მსგავს ხმებზე ცეკვავდა, ხტუნაობდა, ღრაჭუნა ფეხებით და ხელებით ყირაზე ზედიზედ მარდად

*) სიბრძნის მარილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადიოდა, რაც ბავშვს ამხიარულებდა, მასვე დაუამხანაგა სხვა მოხეტიალე მსახიობი, ვაისის ფირმის სარეკლამო თოჯინა, შავებში გამოწყობილი ბალერინა, მეტისმეტად წვრილი, წაგრძელებული ფეხებით და ხელებით. ორივე დიდად ართობდა.

სიხარულმა და გაკვირვებამ წარმოშვა მისი პირველი გრძნობა. ერთ საღამოს საწოლიდან რიგრიგობით მშობლებს დიდხანს უყურებდა. დედას შეხედავდა, გაუცინებდა და მიბრუნდებოდა, მერე უცებ მობრუნდებოდა, მამას შეხედავდა, გაუცინებდა, ისევ დედისაკენ გაიხედავდა, კვლავ სიცილით მოუბრუნდებოდა მამას და ასე დაუღალავად ტრიალებდა მორცხვი, მხიარული, ბედნიერი, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: მე ორივე მყავსო.

გახარებული თამამად ჭყიროდა ხოლმე სასტვენივით. ერთხელ წაივლო ცხვირში ხელი და ტირილი დაიწყო, ვერ გაიგო, თუ რა დაემართა. პირველ „ფიზკულტურულ» ვარჯიშს რომ აკეთებინებდნენ ხელებით, იცინოდა, როცა უჩვენებდნენ როგორ და საით მიიჩქარის მირთმეული ფაფა, ხმამაღლა ხარხარებდა, გულმოდგინებით უსმენდა კითხვას, თხრობას, სიმღერას, ყოველ მიბაძვით ბგერებს, ყოველ მხიარულ კილოსა და რიტმზე რომ კიდევ და კიდევ ეცინა.

ფლანელის ჭრელ საბანში შეფუთნილი საზეიმოდ გამოწყობილ გნომების მეფეს ჰგავდა. ყოველდღე ფორთოხლის წვენის ექვს წვეთს ღებულობდა, პირს შოშიასავით გააღებდა ხოლმე და კარგ, გემოთმცოდნესავით ტუჩებს აცმაცუნებდა. ლოგინიდან რკალივით ამოიზნიქებოდა, თავით საწოლს მიებჯინებოდა, ძირს ჩამოვიდოდა და საწოლის კიდეს ხელმოკიდებული ხალიჩაზე გაუბედავი ნაბიჯებით მიდიმოდიოდა, თანაც ეშმაკურად და გაოცებით მაღლა იყურებოდა. თითქოს კითხულობდა: ამაზე რაღას იტყვით? უცებ იგრძნო, როცა დგას, თურმე, ფეხებით იატაკს ეხება და შეკრთა.

გამოზაფხულდა, და გახარებულმა დედამ ბავშვი გადაკოცნა. მას უკვე შეეძლო ბავშვი მზისთვის ეჩვენებინა. პატარა იარომირეკი თავისი ეტლიდან იყურებოდა. სახლები პირველად შეამჩნია, პირველად დაინახა ხეები, ეტლს ზურგით მიეყრდნო და ხეების კენწეროებს გახედა. ხან ბატივით სისინებდა. ხან ფრუტუნებდა. თვითმფრინავის ხმაური რომ მოესმა, ეგონა, ჩემს გასართობად დედა ამას პირით აკეთებსო, ახედა დედას და გაუცინა.

მისი შეგრძნება თანდათან ფართოვდებოდა და იზრდებოდა. პატარა აბაზანაში დიდი სიამოვნებით ჭყუმპალაობდა. სიხარულით აღსავსე პირდაღებული, წყალში წიხლს სცემდა, იწუწებოდა. თუ ვინმე ისეთი გამოელაპარაკებოდა, ვინც არ მოსწონდა, თავის ეტლში მწოლიარე მოურიდებლად და აშკარად დასანახავად მუცელს გამობერავდა. მისი მოციმციმე თვალები მზით მოოქრული თმები, ალეწილი ყურები გაზაფხულის კაშკაშა მზეზე ბზინავდნენ. ზოგიერთ სიტყვებზე ეცინებოდა, ყველაზე მეტად კი თვით კილოზე. უცინოდა აკვანს, უღიღინებდა. სიცილის დროს სუნთქვას შეიკავებდა ხოლმე, ქშენით თავს ირთობდა. მთელს ლოგინს აქანავებდა და მხოლოდ მაშინ, როცა ბოთლით თბილ რძეს სვამდა, გარინდებულს ჩაეძინებოდა, როგორც ზღაპარში მძინარე მზეთუნახავს.

მისი შეგრძნებები თანდათან ღრმავდებოდა. ერთხელ მუქი ლურჯი ტანსაცმელი მოუტანეს. დიდი სიხარულით ჩაიცვა და გამოვიდა საჩვენებლად — უყურეთ, ახლადნაკურთხ მღვდელსა ჰგავსო! — თქვეს და გაიცინეს. უზომო სიხარულის შემდეგ ბავშვმა შემზარავი ტირილი მორთო, შეუძლებელი გახდა მისი დაშოშმინება. მას აქეთ, როცა კი მოეჩვენებოდა, რომ ვინმე დასცინის, ტირილს იწყებდა. უკვე ყოველ წვრილმანს ამჩნევდა. საგულდაგულოდ აგროვებდა ნამცეცებს, თმის ბეწვს იპოვნიდა, აიღებდა და ეთამაშებოდა, უხაროდა; თუ კი ხელს საშველად ვინმე მისცემდა, მაშინვე წამოდგებოდა. ერთ საღამოს პრაღიდან დაბრუნებულმა მამამ მას ყურადღება არ მიაქცია. მამის მოლოდინში მყოფი ბავშვი თავიანად საბანში გაეხვია და ტირილი დაიწყო. ღამემდე, ისე, როგორც მოწაფე გაკვეთილს, ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ტატა“ (მამა), ხოლო ამის მაგივრად „ძაძას“ გამოთქვამდა. ღამე ძილი გაუკრთა. მისი მოუსვენარი პატარა სხეული შფოთავდა და ბოლოს დედის გულსაკლავად მის ფეხებთან მთვარეულივით ჩამოჯდა.

შუბლზე დაყრილი ოქროსფერ კულულებიანი იარომირეკი სოფელში გრილსა და ფართო სახლში ჩამოვიდა. მისი კედლებიდან იყურებოდნენ წინაპართა მკაცრი სახეები, და უცებ „ჩუკი და გეკივით“ სიხარულით აღივსო. ეზოში ცხოველების სამყაროში მოხვდა. პირველად ნახა ჩიყვიანი, მოკინკლავე ქათმები და პაწაწინა ტუჩებზე ღიმილმა გადაჰკრა. თვალიერება დაუწყო მამალს, რომელმაც მის წინ გაბღინძულმა, თავმომწონედ ყიყლიყო შემოსძახა, კატა მისაალერსებლად თავისკენ კუდით მისწია, ქათმებს კი უჯავრდებოდა, რადგანაც ხელში ნამცხვარს უკენკავდნენ. კედლიდან აფრენილ დიდ ბზუილა ბუზს სიცილით გამოედევნა. არაფრის არ ეშინოდა, ცხენს უჯავრდებოდა, ხარს ღელში ხელი წაავლო, სოფელში ყველაზე დიდ ძაღლს დაღებულ სისხლისფერ ხახაში ცნობისმოყვარეობით ჩასცქეროდა. „ჰაამო!“ — დაიძახებდა და მოსწევდა ხოლმე თოკსფარდების ზონარს, საათის ძეწკვსაც კი. მოედანზე დიდ ქვებს აგორებდა. ხელში ციცხვს დაიჭერდა და, როგორც ვიოლინოზე, ვითომ უკრავდა, თან მღეროდა. დიდი რკინის უროთი ყაყაჩოს თესლს ნაყავდა. საღამოზე დაქანცული იძინებდა თავის პატარა საწოლში. შიგ მისი ვარდისფერი სახე ვაშლივით იფლობოდა. დილით გალაქლაქებული სახით იღვიძებდა და პაწაწინა ტუჩებზე, პირზე, თვალებში უთროდა ნაგრძნობი განცხრომის პირველი ნაკვესი.

დაცინვაზე აღარ ტიროდა. თუმცა გული კი მოსდიოდა, ენერგიულად ხელებს იქნევდა. თუ დაწოლილს ვერ შეამჩნევდნენ, აღარც ამაზე იტირებდა, ეშმაკურად ნელა ჩაახველებდა, რომ ყურადღება მიექციათ. დილიდანვე თვალებს გაახელდა თუ არა, კედელზე გამოსახული ჩრდილებით თავს ირთობდა. რანაირ ოინს, არ სჩადიოდა, ათი ხელიც კი ვერ შეაჩერებდა. ყოველ არსებას საფრთხე სხვისგან მოელის. ბავშვს კი — თავისთავისაგან. გადაატრიალა ერბოს ქილა, მთელი ტანი და ტანსაცმელი სულ გაითხუპნა, გამოიღო ფეხსაცმლის ჯაგრისი და მუქი მიხაკისფერი საცხები ხელებზე, სახეზე, ტუჩებზე შედედებული სისხლივით გაეგლისა. ახლა უკვე «კითხულობს» გაზეთებს, ქაღალდებს, წიგნებს, თან გაურკვევლად დუდუნებს, დაუღალავად ფურცლავს კალენდარს, «ილუსტრირებული გაზეთის» უშველებელ, წლიურ კომპლექტს, ვითომ გაზეთებიდან ამოღებულ წინადადებებს კარნახობს «ტეტეტე-ატლა-ბატლა» და კითხვის თვალით იყურება, თითქოს შექებას ელოდება, საწოლიდან გადმოხრილი ყურებდაცქვეტილი უსმენს რადიოს. მამას პირის პარსვაში ბაძავს — ლუქის ბეჭედს მოღრეცილ სახეზე სამართებელივით ისვამს, ბებერ კატას კი — მთქნარებაში. ყურთან უჭირავს არა მარტო მამის საათი, აგრეთვე ჯიბის მრგვალი სარკეც და სიხარულით იწყებს ცეკვას, როცა დაინახავს მისთვის მომზადებულ ბოთლით რძეს, რითაც ბუნება იცავს ყოველი ავისაგან თავის ყველაზე სათუთ ქმნილებას — ბავშვს.

ავტორიზებული თარგმანი ჩეხურიდან ელენე ერისთავისა.

ი. გრიშაშვილი

# ბარათი ციცინო ჭუჭყიანს

ამას წინათ ქ. გორის ალმანახში „მერანი“ ერთი კარგი ლექსი წავიკითხე, რომელსაც ხელს აწერს ახალგაზრდა პოეტი ქალი ციცინო ჭუჭყიანი.

*ასეთ კარგსა და პოეტურ გოგოს*
*რად გიწოდებენ «ჭუჭყიანს» გვარად?*
*ახ, როდის მოხდა? რატომ და როგორ?*
*ვფიქრობ ნიადაგ და ვწუხვარ მარად.*

*ალბათ, ბატონმა, იმ დუხჭირ დროში,*
*პაპაშენს ჰკადრა ეს სიტყვა მწარე,*
*შემდეგ კი შეგრჩა ეს დანაროში,*
*ვერ მოიშორე, ვერ გადაჰყარე.*

*მინდა ნათლია ვიყო მე შენი,*
*გითხრა ნაზ პოეტს, გულისხმიერსა*
*— მოსძებნე გვარი დროს დამამშვენი*
*და განერიდე ჭუჭყსა და მტვერსა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მოდები




1. შალის კაბა დაგრძელებული ზედაწელით. ქვედატანი—შემხვედრი ნაკეცებით. სახელოები მიდგმული. საყელო და ჯიბეები დაქარგულია.

ავტ. კ ა რ ა ს ე ვ ა (საქართველოს მოდელების სახლი).

2. შალის კოსტუმი აბრეშუმის ბლუზით (ბლუზაზე მოსახსნელი თამასა დამაგრებულია კნოპით). თავისუფალი ფორმის ჟაკეტი ღილებზე იკვრება. სახელოები მიდგმული.

ავტ. კ ა რ ა ს ე ვ ა.

3. შალის კაბა დაგრძელებული ლიფით. ნაკეცებიანი ქვედატანი მიმაგრებულია ლიფზე მანქანის ნაქარგით. სახელოები მიდგმული.

ავტ. თ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე (საქართველოს მოდელების სახლი).

4. შალის კაბა ოდნავ დაგრძელებული წელით. ქვედატანი—ნაჭრებიანი კლოში. სახელოები მიდგმული. კაბა გაწყობილია წვრილი ქსუტისაგან გაკეთებული ბაფთებით.

ავტ. ა. კ ა რ ა ს ე ვ ა.

5. შალ-ს კოსტუმი. ჟაკეტი სწორი ფორმის, სახელოები მიდგმული. გაწყობილია თეთრი და წითელი ყაითანით.

ავტ. კარასევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. ჯიქია



შ. ადუაშვილი



ფაბრიკის დირექტორი გ. ავალიანი ამოწმებს პროდუქციის ხარისხს.

# ხმაურიან მანქანები...

საკერავი მანქანების მონოტონური ხმაურის მიუხედავად, გგონიათ, რომ ამ ჭარბად განათებულ ოთახებში ბუზის გაფრენასაც გაიგონებთ. არცერთი ზედმეტი მოძრაობა, არცერთი ზედმეტი ბგერა...

გრძელი მაგიდების რიგებთან განაბულა ქალების მწკრივი. ყველა გულისყურით მუშაობს...

საამქროს უფროსი ელენე ფეიქრიშვილი დინჯად დადის მაგიდებს შორის.

— ნაკერი თანაბარი და სწორი უნდა იყოს. ლამაზი ჯიბეები ნახევარი პიჯაკია,—შეჩერდა იგი ქურათმიან ქალიშვილთან,—საყელო კი— მთელი პიჯაკი.—ხმა მიაწვდინა მის მოპირდაპირედ მომუშავე ჭალარაშერთულ მანდილოსანს.

ვინ არ იცის ეს, კერვის ანბანა... გამოცდილი ოსტატი კი დროდადრო მაინც შეახსენებს ხოლმე.

თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკა სახალხო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე გამოვიდა. მაგრამ მისი ნაწარმის ხარისხით მადლიერნი ყოველთვის როდი არიან მომხმარებლები.

ლამაზი და მოხდენილი სამოსის შეკერვა არც ისე იოლია. ამისათვის ილწვის ფაბრიკის მთელი კოლექტივი. ამიტომ ჩასცქერიან ასე გულმოდგინედ ფაბრიკის ლაბორატორიაში ახლადმიღებულ მოდელებს.

ამუშავებენ, ასწორებენ...

აქ იჭრება თარგები, მოწმდება და შემდეგ კი საგამომჭრელო და მოსამზადებელ საამქროებში იგზავნება.

კარგი თარგი ფუჭად დარჩება, თუ გულმოდგინედ არ დამუშავდა. კერვის პროცესში განა ცოტა ჩნდება საინტერესო და ახალი?

სწორედ ამიტომ მოხვდა დამამზადებელ საამქროში ლაბორატორიის ინჟინერი ნაზი დეკანოსიძე. იგი ახალი მოდელის «მეგზურია». ხომ შეიძლება შეასწორონ უკეთესად! სხვადასხვა ხარისხის ქსოვილი სხვადასხვაგვარად დაიმშვენებს მოდელს. შერჩევა უნდა, გემოვნება და საქმის ცოდნაა საჭირო.

განა მოდელების გუ-ჯობესებისათვის არ შეარქვეს მარგო მარგიშვილს «ფაბრიკის მარჯვენა ხელი?» ოცდახუთი წელია იგი სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს. ვინ იცის რამდენ ჭაბუკსა და ქალიშვილს მოუწონებია თავი მისი მოდელის კოსტუმით.

განა მარგიშვილმა არ მოამზადა ქარხნის პირველი კომკავშირული აგრეგატის ყველა მუშა?

ახლა მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში სამი აგრეგატია, რომლებზეც საშუალო და პროფსკოლადამთავრებული ქალიშვილები მუშაობენ. სკოლის მერხიდან მოვიდნენ და ახლა ფაბრიკის მოწინავენი არიან: ტ. ქამიბაძე, ა. ხალათიანი, ნ. მინდიაშვილი, მ. ხმიადაშვილი, ც. შაქაროვა და სხვები...

მათი ყოველთვიური შრომითი მაჩვენებლები 220-280 პროცენტია. კოსტუმის ღირსება მხოლოდ გარეგნული სილამაზე როდია. იგი გამძლე და მსუბუქი უნდა იყოს. ბუნებრივია, რომ «შავი სამუშაოები»—დაგვირისტება, ამოხვევა, სარჩულის გამზადება—მეორეხარისხოვანი საქმე არ არის.

ეს უკვე კარგად იცის თინა ჯიქიამ და ამიტომ ასე ბეჯითად და დაკვირვებით მუშაობს.

სულ ახლახან მოვიდა იგი ფაბრიკაში და გამოცდილ მკერავს პელაგია ბიბილაშვილს მიამაგრეს მოსწავლედ. გოგონა თავს არ ზოგავს. უნდა მალე გახდეს დამოუკიდებელი მუშა. შრომისადმი სიყვარული მას სკოლაში ასწავლეს. თინა ჯიქიამ წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის 68-ე საშუალო სკოლა და ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალამოს განყოფილების სტუდენტია. მას არ ჩამორჩებიან პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სალამოს განყოფილების სტუდენტი ვალია კულიკოვა, სედა სიმონიანი, ცვლის ოსტატი ზიზო შალიკაშვილი და სხვები.

, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად საჭიროა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა. ფაბრიკაში პერიოდულად იძენენ ახალ მანქანებს, რაც მუშის შრომასაც აადვილებს და ნაწარმის ხარისხსაც აუმჯობესებს.

წელს ფაბრიკაში აითვისეს და დანერგეს ღილის მიმკერებელი და მკლავის ჩამკერებელი ახალი მანქანები. ერთი წელიწადია, რაც დაიდგა ჯვარედინად დამგვირისტებელი მანქანა— «შტრობელი».

ამ რთული მანქანის უკან ძლივს მოჩანს შურა ადუაშვილი. . საკერავი კი ისე მოხერხებულად მოუმარჯვებია ხელში, თითქოს დაბადებიდან ამის მეტი არაფერი ეკეთებინოს. «შტრობელის» ყველა საიდუმლო ზედმიწევნით იცის ამ ცეროდენა გოგონამ. იცის კი არა, ფაბრიკაში მასწავლებლადაც ითვლება. მისი გამოზრდილები უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ და ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ოცდათერთმეტი რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა წელს ფაბრიკის რაციონალიზატორ-გამომგონებელთა საბჭოში. აქედან მიღებული და დანერგილია თოთხმეტი.

— ხელსაყრელი და ეკონომიურია, რომ სამხრეების ერთი ფენა ტილოსაგან გაკეთდეს, მეორე—მარლისაგან, ქალის ქვედა კაბის ქობა შემოკერდეს CM-2 მარკის მანქანაზე—წარმოადგინა თავისი მოსაზრება ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა პოლინა ოსტისშჩევამ. ეს წინადადება განიხილეს და მოიწონეს.

ფაბრიკა წლიურად 63.85.1 მანეთს დაზოგავს, რ. და ე. ხონიკაშვილების წინადადება კი 13.531 მანეთის ეკონომიას მისცემს საწარმოს.

... და ყველა ზრუნავს, ფიქრობს, შრომობს, რათა ფაქიზად და ლამაზად ჩაცმული იყვნენ საქართველოს მშრომელები.

ასეთი ქალები არიან მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში.

მამაკაცები აქ «სანთლით საძებარია»...

— ჩვენი დირექტორი ქალია და ქალებს მფარველობს.—ეშმაკურად იღიმება გელა ხმიადაშვილი, თან წელში სწორდება, ნუთუ მე მაინც ვერ მამჩნევენო.

ფაბრიკის დირექტორი გუგული ავალიანი წარმოების მხოლოდ კარგი ხელმძღვანელი როდია. იგი, მართლაც, ყველას მზრუნველია ფაბრიკაში.

აკი ამიტომ შეიყვარეს ასე!

— თვალში რომ ჩაგვივარდეს, ხელს არ ამოვისვამთო,—ამბობენ მუშები.

... და ყველა მიღწევა, რაც ფაბრიკას გააჩნია, ამ შეწყობილი კოლექტივის გულმოდგინე შრომის შედეგია.

ლალი ჭანკოტაძე.



მ. მარგიშვილი

ფოტო დ. იაკობაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ღვიძლის პაშტეტი

500 გრ ღვიძლს მოაშორეთ გარსი და მცირე ნაჭრებად დაყავით. თითო ძირი გასუფთავებული სტაფილო და ოხრახუში, ერთი თავი ხახვი დაჭერით თხელ ნაჭრებად. აღნიშნულ მასალას მიუმატეთ 1 დაფნის ფოთოლი, რამდენიმე მარცვალი ინგლისური წიწაკა, 100 გრ ღორის ქონი (შპიგი) და ხრაკეთ, სანამ მზად არ იქნება. ამის შემდეგ ორ-სამჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. თუ გსურთ, დამატებით გახეხეთ საცერში. (პაშტეტის მომზადების დროს ღვიძლი არ უნდა გადაიხრაკოს და არც ძალიან შეშრეს, თორემ პაშტეტი ისეთი ცვრიანი არ გამოვა, როგორც საჭიროა). გახეხილი ღვიძლი ჩადეთ ქვაბში, მიუმატეთ გემოვნებით მარილი, პილპილი, დაფხეკილი ჯავზი, ხის კოვზით ათქვიფეთ და თანდათანობით მიუმატეთ 100 გრ კარაქი.

დამზადებული პაშტეტი მინის ან ფაიფურის ჭურჭელზე გადაიტანეთ და გააციეთ.

## ხორცეულის ვინეგრეტი

500 გრ მოხარშული ან შემწვარი ძროხის, ხბოს, ფრინველის ხორცი ანდა რომელიმე უფხო თევზი დაჭერით პატარა ნაჭრებად. მიუმატეთ ორი ცალი დაჭრილი ჭარხალი, 2 წვრილად დაჭრილი მჟავე კიტრი, 300 გრ დაკეპილი მჟავე კომბოსტო, 1—2 ჩაის ჭიქა მოხარშული თეთრი ლობიო, მარილი, შეაზავეთ მაიონეზით, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კარგად აურიეთ. შემდეგ გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში, ზემოდან ლამაზად მოუწყვეთ 1 დაჭრილი ლიმონი, ჭარხალი და ორი მაგრად მოხარშული დაჭრილი კვერცხი.

## ღორის თავ-ფეხის ხოლოდეცი

ღორის თავ-ფეხი კარგად გაწმინდეთ, გარეცხეთ, ჩააწყვეთ ქვაბში, დაასხით წყალი, დადგით ცეცხლზე და ხარშეთ, სანამ ძვლებს ხორცი თავისით არ მოსცილდება. ამის შემდეგ ამოიღეთ, გამოარჩიეთ ძვლები, ხორცი წვრილად დაჭერით. წვენს მიუმატეთ ნიორი, პილპილი.

მარილი, დაფნის ფოთოლი, ოხრახუში, სტაფილო და დადგით მოსახარშად. როცა მოიხარშება და წვენი შესქელდება, გადმოდგით ცეცხლიდან, ამოიღეთ დაფნის ფოთოლი, ოხრახუში და გადააგდეთ, შემდეგ წვენში აურიეთ დაჭრილი ხორცი. პატარა ჯამებში ჩადეთ მოხარშული კვერცხი, დაჭრილი მოხარშული სტაფილო, ზემოდან დაასხით მოხარშული ხორცი თავისი წვენით და გასაცივებლად დადგით.

•

## შამფურზე შემწვარი გოჭი

გოჭი კარგად გაასუფთავეთ, გარეცხეთ, წაუსვით მარილი მუცლის ღრუში და კანზე, წამოაგეთ ხის შამფურზე, თავი და ფეხები დაამაგრეთ კანაფით, შეწვით ნაკვერცხალზე შამფურის ტრიალით, ხანგამოშვებით წაუსვით გამდნარი ერბო ან წყალი, ან ერთად ძალიან წმინდად დანაყილი (წინასწარ ცხელ წყალში დამბალი) და მერე ნიგვზის ზეთში გახსნილი წიწაკა, ნიორი, ქინძი, კამა, ოხრახუში და რეჰანი.

ძალიან გემრიელია თავისივე შიგნეულით გატენილი შემწვარი გოჭი. ნაწლავები გადააბრუნეთ, ჯერ კარგად გარეცხეთ წყლით, შემდეგ სიმინდის ფქვილით, მერე სუფრის მარილით, ბოლოს ისევ სუფთა წყლით. გარეცხილი ნაწლავები დაჭერით, შიგნეულთან ერთად მოხარშეთ, როცა მოიხარშება, წვრილად დაჭერით, უყავით პილპილი, დანაყილი ქინძი, მარილი, წიწაკა და კარგად აურიეთ. გამზადებული მასალა მოათავსეთ გასუფთავებულ, გარეცხილ და მარილმოყრილ გოჭის მუცელში, ძაფით ამოკერეთ და შეწვით.

## ბასთურმა

500 გრამი ცხვრის, ძროხის ან ღორის ხორცის რბილი ნაწილი დაჭერით თანაბარ მსხვილ ნაჭრებად, გარეცხეთ, ჩადეთ თიხის, მომინანქრებულ ან ფაიფურის ჭურჭელში, მოაყარეთ ალყა-ალყად დაჭრილი 200 გრ ხახვი, მარილი, პილპილი, დაასხით 1/2 ჩაის ჭიქა ძმარი, დახურეთ სახურავი და გააჩერეთ რამდენიმე საათის განმავლობაში. შემდეგ ამოიღეთ, ააგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერცხალზე შამფურის ტრიალით. ბასთურმა შეიძლება უძმროდაც მომზადდეს.

**თამარ ხულაძველიძე.**

# მკითხველთა კონფერენციები

ამას წინათ ქ. სოხუმში ჩატარდა ჟურნალ «საბჭოთა ქალის» მკითხველთა კონფერენცია.

ინფორმაცია ჟურნალის მუშაობის შესახებ გააკეთა რედაქციის განყოფილების გამგემ მ. კვარაცხელიამ.

სიტყვებითა და შენიშვნებით გამოვიდნენ მკითხველები: მერი კოკაია, ნუნუ მამულაშვილი, თეო გიცბა, მარიამ ლომიძე, თამარ ნატროშვილი, ოთარ ჭურღულია, ზურაბ ნაყოფია და სხვები. მათ დაწვრილებით განიხილეს ჟურნალის გამოსულ ნომრებში გამოქვეყნებული მასალები. აღნიშნეს ჟურნალის თემატიკური მრავალმხრიობა და მისი საინტერესო მხატვრული გაფორმება. კონფერენციის მონაწილეებმა ბევრი საყურადღებო შენიშვნები და სურვილები გამოთქვეს. რედაქციისაგან მოითხოვეს: მეტი ადგილი დაეთმოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ქალთა საქმიანობას, დემოკრატიულ ქვეყნების ქალთა ცხოვრებას, მასალებს დიასახლისთა დასახმარებლად.

* * *

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში გაიმართა ჟურნალ «საბჭოთა ქალის» მკითხველთა კონფერენცია.

სხდომა გახსნა ჟურნალ «საბჭოთა ქალის» რედკოლეგიის წევრმა ეველინა თავაძემ, მოხსენებით გამოვიდა თ. კახიძე. მან აღნიშნა რომ ჟურნალში ხშირად იბეჭდება საინტერესო ნარკვევები და წერილები ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქალებზე. ჟურნალი მკითხველთა ფართო მასებში თანდათანობით პოპულარული ხდება.

კამათში გამოსულმა მკითხველებმა: ე. ფარასტაშვილმა, ლ. კობახიძემ, ზ. ღიბრაძემ, რ. სახვაძემ, ნ. ქუთათელაძემ და სხვებმა გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები და სურვილები.

დასკვნით სიტყვაში ჟურნალის რედაქტორმა თ. აბაშმაძემ მკითხველებს მადლობა გადაუხადა საქმიანი შენიშვნებისათვის და აღუთქვა მათ, რომ რედაქცია გაითვალისწინებს მათ შემდგომ მუშაობაში.

* * *

რედაქციას უახლოეს ხანებში გათვალისწინებული აქვს მკითხველთა კონფერენციები მოაწყოს აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

---

გარეკანზე — მზიური აფხაზეთი

რედაქტორი თეო აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.

შეკვეთის № 1285, უე 07745.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно—литературный журнал „Сабчота Кали“,

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცეცხლი, წყალი და პატიოსნება

ის, რაც მოთხრობილია ამ ისტორიაში, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. მაგრამ მოისმინეთ იგი ბოლომდე და დარწმუნდებით, რომ ეს არის ყველაზე უფრო ჭკუის სასწავლი ისტორია, რომელიც კი თქვენ ოდესმე გაგიგონიათ.

ერთხელ ცეცხლი და წყალი გზაში ერთმანეთს შეხვდნენ. ცეცხლს არ უყვარს ერთ ადგილზე ჯდომა. მაშინაც კი, როცა მას ჩაკეტავენ ღუმელში ან კერიაში, სულ იმას ფიქრობს როგორ გავარდეს გარეთ. წყალიც დაუდგრომელია, მუდამ სადღაც ისწრაფვის. და აი მათ გადაწყვიტეს თავისუფალ წუთებში გასეირნება.

ის-ის იყო ერთმანეთს მიესალმნენ, რომ ხედავენ—მოდის პატიოსნება.

გაუკვირდათ ცეცხლსა და წყალს. მათ წინათ არასოდეს არ შეხვედროდათ გზაში პატიოსნება. იგი ისეთი ქარაფშუტა სინიორა როდია, ადგილიდან ადგილზე დარბოდეს, გზებზე დაძრწოდეს. მათ ხომ არ იცოდნენ, რომ დღეს პატიოსნებას მოუხდა მიეტოვებინა ერთი კავალერი, რომელმაც უპატიოსნო საქციელი ჩაიდინა.

— სინიორა პატიოსნება,—უთხრეს ცეცხლმა და წყალმა,—ხომ არ დაგვდებთ პატივს ერთად გავისეირნოთ?

— გმადლობთ მიწვევისათვის,—უპასუხა მათ პატიოსნებამ,—დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება სასიამოვნო მოგზაურობა. მაგრამ მომიტევეთ, მე წესად მაქვს ვიცოდე რას აკეთებენ ჩემი თანამგზავრები.

— ო, ნუ სწუხართ, სინიორა პატიოსნება,— არაკრაკდა წყალი,—თქვენ არ შეგარცხვენთ ჩემს გვერდით გავლა. მე წყურვილს ვუკლავ მწყურვალთ, ვბან, ვრეცხავ, მინდვრებს ვრწყავ, წისქვილის თვლებს ვაბრუნებ.

წყალი ჭეშმარიტ სიმართლეს არაკრაკებდა. მაგრამ მან დამალა მხოლოდ ის, რომ მისი რაკრაკი ზოგჯერ გამაყრუებელ ღრიალად გადაიქცევა ხოლმე და მაშინ იგი გლეჯს საგუბარებს, ტბორავს მთელ სოფლებს და ნაფოტებად აქცევს ხომალდებს. მაგრამ ვის ესიამოვნება თავისთავზე ილაპარაკოს ასეთები, მით უმეტეს პირველი გაცნობისას.

— მე კი,—თქვა ცეცხლმა,—ვანათებ და ვათბობ საცხოვრებლებს, ვხარშავ სადილს და რკინის გამოკვერვაში ვეხმარები მჭედლებს.

ცეცხლს არ სურდა წყალზე ცუდი გამოჩენილიყო პატიოსნების წინაშე. ამიტომ მანაც ზოგიერთი რამ დაფარა. მაგალითად ის, რომ გათავხედებულს შეუძლია გადაწვას მთელი სოფელი, ანდა ციდან ჩამოვარდნისას თავისშესაქცევად გახლიჩოს პატივცემული ბებერი მუხა, რომელსაც კიდევ სამასი წელი შეეძლო მდგარიყო.

— პატიოსნება, რომელიც ნაცნობების არჩევაში ძალიან აზიზი, მაგრამ მიმნდობიც იყო, აღფრთოვანდა ასეთი თანამგზავრებით.

— მაშ წავიდეთ, მეგობრებო, სასეირნოდ სამივენი!—შესძახა მან.

— მოითმინეთ,—თქვა ცეცხლმა,—გზაში რომელიმე ჩვენგანმა შეიძლება გვერდზე გაუხვიოს ან ჩამორჩეს. საჭიროა დავთქვათ, რა ნიშნებით მოვნახოთ ერთმანეთი. აი მე შორიდან შეიძლება მიცნოთ კვამლით, ვინაიდან კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.

წყალმა თქვა:

— არ მეძიოთ იქ, სადაც მცენარეები გაყვითლებულან და დამღრალან, სადაც პაპანაქებისაგან მიწა დამსკდარა. მე იქა ვარ, სადაც მტირალა ტირიფები, მურყანი, ლერწამი და მაღალი მწვანე ბალახია.

— რაც შემეხება მე,—წარმოთქვა პატიოსნებამ,—მე არა მაქვს განსაკუთრებული ნიშნები. ჩემთან მეგობრობა თუ გსურთ, განუწყვეტლივ მადევნეთ თვალყური, რომ არ დავიკარგო. გამიფრთხილდით, როგორც ცალთვალა უფრთხილდება თავის ერთადერთ თვალს. ვინაიდან—ასეთია ჩემი გასაოცარი თვისება—სინიორებო, ვინც ერთხელ დამკარგავს, ის კვლავ ველარასოდეს ვეღარ შემიძენს.

და პატიოსნებამ, ერთადერთმა სამთა შორის, თქვა ჭეშმარიტი სიმართლე, არ დაუმალავს არაფერი.

თარგმანი რუსულიდან

99/2 б 5 7/169

